სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლა

მოქალაქეობა
IX კლასი

კომპლექსური დავალებების სამუშაო რვეული

მასწავლებელი : ნინოკახნიაშვილი

I კომპლექსური დავალება

თემა: ეკონომიკა და სახელმწიფო

საკითხი: პირადი ფინანსების ეფექტური მართვა.

სამიზნე ცნება: მდგრადი განვითარება

კომპლექსური დავალების პირობა

თქვენ უკვე იცით, რომ თითოეულ ჩვენგანს უამრავი საჭიროება, სურვილი და მიზანი აქვს, რომელთა დაკმაყოფილებაც გარკვეულ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. გამომდინარე იქიდან, რომ თანხები შეზღუდული რაოდენობით გაგვაჩნია, ჩვენს

მოთხოვნილებებთან, სურვილებთან თუ მიზნებთან ფინანსურად გასამკლავებლად აუცილებელია თანხების მიზნობრივად ხარჯვა და გარკვეული თანხების დაზოგვა. შექმენით **საინფორმაციო ბუკლეტი,** რომლითაც გარშემომყოფებს პირადი თანხების მიზნობრივად ხარჯვაში დაეხმარებით და დანაზოგის გაკეთების/არსებობის საჭიროებაში დაარწმუნებთ.

ბუკლეტში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ დავხარჯოთ ჩვენი თანხები მიზნობრივად/გონივრულად?
- როგორ და რა ფორმით შეგვიძლია თანხების დაზოგვა/გადანახვა?
- როგორ გამოვიყენოთ ჩენი თანხები/დანაზოგი ჩვენივე საკეთილდღეოდ და სხვების დასახმარებლად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი თანხების გონივრულად ხარჯვა და დანაზოგის გაკეთება?

ეს საინტერესოა!

ბუკლეტი -ეს არის ორ გვერდიანი (შეიძლება მეტიც) ფურცელი, რომელზეც კონკრეტულად არის განთავსებული სტრუქტურული ინფორმაცია, რამოდენიმე ნაწილად.

ბუკლეტი შეიძლება შექმნა ხელით (მაგ. თაბახის ფურცლის გამოყენებით) ან ელექტრონულად.

ელექტრონული ბუკლეტის შესაქმნელად შეიძლება გამოიყენო შემდეგი პროგრამები: Word-ი, Poverpoint-ი, canva.com-ი და სხვა.

ბუკლეტი არის ერთგვარი საბეჭდი პროდუქტი, რომელიც იბეჭდება A3 ან A4 ფურცელზე რამდენჯერმე დაკეცილი. მთავარი მახასიათებელია მრავალფეროვნება. **საინფორმაციო ბუკლეტი** შეიცავს ძირითად ინფორმაციას მომსახურების ან პროდუქტის შესახებ, რომელიც წარმოდგენილია მაქსიმალურად მოკლედ, ზედმეტი დეტალებით გადატვირთვის გარეშე. ასეთი ბუკლეტების მიზანია პოტენციური მომხმარებლების მაქსიმალურად დაინტერესება. ამ ტიპის ბუკლეტში მისასალმებელია ფოტოების, ცხრილების, გრაფიკების გამოყენება.

კომიქსი (ინგლ. Comics) — ვიზუალური ხელოვნების ფორმა, რომელიც შედგება გამოსახულებებისა და ტექსტის (დიალოგური ბუშტების ან ტიტრების სახით) კომბინაციისაგან.

პოსტერისა და კომიქსის შესაქმნელად შეგიძლია გამოიყენო word-ის poverpoint-ის, canva-ს, pixston-ისა და paint 3d-ს პროგრამები.

ესე , იგივე ,,ესსე'', ,,ესეი'' ფრანგულად ნიშნავს ცდას, ნარკვევს. მისი დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში კონსტანტინე გამსახურდიას სახელს უკავშირდება. ესსე ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ჟანრია. არსებობს სხვადასხვა ხასიათის ესე: ბელეტრისტული (სიტყვაკაზმული), ფილოსოფიური, ისტორიული, ფსიქოლოგიური, ბიოგრაფიული, სამეცნიერო და სხვ.

შინაარსის მიხედვით განასხვავებენ არგუმენტირებულ, თავისუფალ და სხვა სახის ესსეებს.

თავისუფალი ესსე - არის თავისუფალი კომპოზიციის მოკლე ჩანახატი ავტორის მიერ დანახული და გააზრებული თემის, იდეის ან პრობლემის შესახებ. ასეთი ტიპის ესეს ძირითადი მახასიათებლებია გადმოცემის თავისუფალი სტილი და ავტორის პირადი დამოკიდებულების ჩვენება.

ესსე ძირითადად სამი ნაწილისაგან შედგება:

- შესავალი;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნა.

შესავალი უნდა იყოს მკაფიო და წარმოაჩენდეს ავტორის პოზიციის გამოხატვას მოცემულ თემაზე, ამავდროულად, საჭიროა მკითხველის ინტერესის გაღვივება.

ძირითადი ნაწილში უნდა წარმოაჩინოთ მთავარი, საკვანძო საკითხი თანმიმდევრულად. უნდა მოხდეს მსჯელობა არგუმენტებზე და სიზუსტისათვის მოიყვანო მაგალითები.

დასკვნაში რამდენიმე წინადადებით შევაჯამოთ სათქმელი მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად.

თხზულება არის ნებისმიერი შინაარსის (მხატვრული, მეცნიერული და სხვ.) ნაწარმოები. მასში სინამდვილეში მომხდარი რაიმე ამბავი არის გადმოცემული, სადაც ყურადღება გადატანილია ამა თუ იმ მოვლენის მსვლელობაზე. დასახელებულია მოვლენის მიზეზი, განვითარება და შედეგი. რაიმე ამბავი მოთხრობილია იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ცხოვრებაში ხდება.

ბლოგი ჩვეულებრივი ვებ გვერდია, რომელსაც რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი აქვს: აუცილებლად უნდა ჰქონდეს სათაური; მასში განთავსებული თითოეული ჩანაწერი (პოსტი) უნდა იყოს დათარიღებული; ბლოგზე, ძირითადად, ყოველ პოსტს კომენტარის დატოვების საშუალებაც აქვს; ბლოგი, როგორც წესი, რომელიმე ინვიდივიდის მიერ არის შექმნილი; კორპორაციული ბლოგის შემთხვევაშიც, თითოეული პოსტის ავტორი გამოკვეთილად ჩანს.

მეთოდი „პრეს-ი“
მეთოდი „პრეს-ი“ (PRES — P-osition, R-eason, E-xample, S-olution ანუ პოზიცია, დასაბუთება, მაგალითი, დასკვნა)

„ **PRES** “-
ის მეთოდს იმ შემთხვევებში იყენებენ, როდესაც განსახილველ პრობლემას-
თან დაკავშირებით საჭიროა პოზიციის ჩამოყალიბება, დასაბუთება და მკაფიოდ
და
მოკლედ გამოთქმა.
„ **PRES** “-ის მეთოდს შემდეგი სტრუქტურა და ეტაპები აქვს:

1. **პოზიცია** – იწყება სიტყვებით: **მიმაჩნია, რომ...**
(გამოთქვით თქვენი მოსაზრება, ახსენით, რას გულისხმობთ);
2. **დასაბუთება** – იწყება სიტყვებით: ... **რადგან...**
(თქვენი პოზიცია არგუმენტებით გაამყარეთ);
3. **მაგალითი** – იწყება სიტყვებით: .. **მაგალითად, ...**
(ჩამოთვალეთ თქვენი მტკიცებულებების მხარდამჭერი ფაქტები, რომლებიც თქვე
ნს,
პოზიციას გაამყარებს);
4. **დასკვნა** – იწყება სიტყვებით: …... **ამდენად, მიმაჩნია, რომ...**

კედლის გაზეთი ეს არის საკომუნიკაციო საშუალება, რომელიც ფიქსირდება ან მზადდება კედელზე ან ხილულ კედელთან, ისე, რომ ყველას, ვინც ამ სივრცეში გადის, შეუძლია წაიკითხოს იგი.

ინფორმაცია მომხმარებლებისთვის მიმზიდველად არის წარმოდგენილი. ამისათვის გამოიყენება ადვილად გასაგები სურათები, გრაფიკა და ტექსტები. იგი

ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც დიდაქტიკური რესურსი, რადგან ის საშუალებას იძლევა გაზარდოთ სწავლა-სწავლების პროცესი.

შესაბამისად, იგი გამოიყენება საგანმანათლებლო საზოგადოებისთვის საინტერესო შინაარსის გასაჯაროებისათვის.

კედლის გაზეთებში ხშირად წარმოდგენილი თემებია: ეფემერიები, ტრადიციები, სკოლის ამბები, ხელოვნება და სხვა.

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 55.
მნიშვნელოვანი საკითხი: **რა არის ეკონომიკა?**

ინდივიდუალური სამუშაო

აქტივობა 1. (გვ. 55)

რატომ ვყიდულობთ?

2012 წელს ჩატარებული გლობალური გამოკითხვისას რესპოდენტთანახევარმა აღიარა, რომ ზოგჯერ ისეთ საქონელს ყიდულობენ, რომელიც საერთოდ არ სჭირდებათ. ორმა მესამედმა აღნიშნა, რომ ადამიანები ძალიან ბევრ ნივთს იძენენ. შეშფოთების მიზეზი ნამდვილად არსებობს. ბევრი ვეღარ იხდის პროცენტიან ვალებს. სპეციალისტები ამბობენ, რომ ნივთების გაუთავებელ შეძენას კმაყოფილების ნაცვლად უფრო ხშირად სტრესი და უბედურება მოაქვს. მაშ, რაღატომ ვყიდულობთ ამდენ რამეს?

ჩვენ ყველანი, როგორც მომხმარებლები, მარკეტინგის მსხვერპლი ვხდებით. რა მიზანი ამოძრავებთ მარკეტოლოგებს? მოგანდომონ ის, რაც არ გჭირდებათ. მარკეტოლოგებმა მშვენივრად იციან, რომ მომხმარებლები ადვილად ჰყვებიან ემოციებს. ამიტომ რეკლამები და მაღაზიებში შექმნილი სასიამოვნო გარემო იმაზეა გათვლილი, რომ ადამიანში ძლიერი ემოციები გამოიწვიოს.

წიგნში „რატომ ყიდულობენ იმას, რაც არ სჭირდებათ“ ნათქვამია: „როცა ადამიანი რაიმეს ყიდვას გეგმავს, ის ხშირად წარმოიდგენს ხოლმე თუ, როგორ ეძებს სასურველ ნივთს და ბოლოს როგორ ყიდულობს მას“. სპეციალისტების აზრით, ყიდვის პროცესში ადამიანი იმხელა სიამოვნებას განიცდის, რომ ამ დროს მის ორგანიზმში შესაძლოა ჭარბად გამოიყოს ადრენალინი. „თუ გამყიდველმა მყიდველში ეს ემოციები შენიშნა, ის ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და ეცდება, კიდევ უფრო მეტად დაახვიოს თავბრუ“, — შენიშნავს ექსპერტი მარკეტინგის დარგში ჯიმ პულერი.

როგორ უნდა მოიქცეთ, რომ ჭკვიანმა მარკეტოლოგებმა მახეში არ გაგაბან? ემოციები გვერდზე გადადეთ და ეცადეთ, დაპირება და რეალობა ერთმანეთისგან გაარჩიოთ.

დაპირება: „შენ გაიუმჯობესებ ცხოვრებას!“

კარგი ცხოვრება ყველას გვსურს. რეკლამის მწარმოებლები გვპირდებიან, რომ თუ სწორ არჩევანს გავაკეთებთ და მათ მიერ შემოთავაზებულ საქონელს ვიყიდით, დაკმაყოფილებული იქნება ყველა ჩვენი სურვილი — მოგვეხსნება სტრესი, გვექნება უკეთესი ჯანმრთელობა, უსაფრთხო ცხოვრება და კარგი ურთიერთობები.

რეალობა:

რაც მეტ ნივთს ვყიდულობთ, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ცხოვრებას *გავირთულებთ*. ბევრი ნივთის მოვლას მეტი დრო და ფული სჭირდება. ვალების გამო გვემატება სტრესი და დრო აღარ გვრჩება ოჯახის წევრებისა და მეგობრებისთვის.

რაც მეტ ნივთს ვყიდულობთ, მით მეტია იმის ალბათობა, რომ ცხოვრებას გავირთულებთ

პრინციპი: *„ადამიანს უხვადაც რომ ჰქონდეს ყველაფერი, მისი სიცოცხლე მის ქონებაზე არ არის დამოკიდებული“* (ლუკა 12:15).

დაპირება: „შენ წარმატებული გახდები!“

ძალიან ცოტა თუ აღიარებს იმ ფაქტს, რომ ნივთებს სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით ყიდულობს. მაგრამ ჯიმ პულერი აღნიშნავს: „მომხმარებლები ხშირად ყიდულობენ ნივთებს მეგობრების, მეზობლების, თანამშრომლებისა და ნათესავების ჯიბრით“. ამიტომ ხშირად რეკლამებში რთავენ მდიდარ და წარმატებულ ადამიანებს, რომლებიც მათი პროდუქციით კმაყოფილები არიან. ასეთი რეკლამები მყიდველს ეუბნება: „შენც შეგიძლია იყო მდიდარი და წარმატებული!“.

რეალობა:

საკუთარი თავის სხვებთან შედარება იწვევს გაუთავებელ უკმაყოფილების გრძნობას. საკმარისია დავიკმაყოფილოთ ერთი სურვილი და მაშინვე სხვა სურვილი გვიჩნდება.

პრინციპი: *„ვერცხლის მოყვარული ვერცხლით ვერ გაძღება“* (ეკლესიასტე 5:10).

დაპირება: „შენ დაანახვებ სხვებს, ვინ ხარ!“

ერთ წიგნში ნათქვამია: „ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება, რომ სხვებს ვაჩვენოთ, ვინ ვართ, (ან როგორები გვინდა, ვიყოთ), ჩვენი ქონების დემონსტრირებაა“ (Shiny Objects). მარკეტოლოგებმა ეს კარგად იციან, ამიტომ მუშაობენ იმაზე, რომ სხვადასხვა ბრენდის პროდუქცია, განსაკუთრებით კი ძვირადღირებული ბრენდები, შეუსაბამონ კონკრეტული ცხოვრების სტილსა და ფასეულობებს.

რას ფიქრობთ საკუთარ თავზე, როგორი ხართ — მოდური? ათლეტური? სხვებსაც მსგავსი წარმოდგენა გინდათ, შეუქმნათ თქვენზე? როგორი იმიჯის შექმნაც არ უნდა გინდოდეთ, მარკეტოლოგები გპირდებიან, რომ თუ სწორად შეარჩევთ ბრენდს, თქვენ გახდებით ის, ვინც გინდათ, რომ იყოთ.

რეალობა:

ნივთების შეძენა არ შეგვცვლის და არ შეგვძენს ისეთ სასურველ თვისებებს, როგორიცაა პატიოსნება და ერთგულება.

პრინციპი: *„თქვენი სილამაზე ნუ იქნება ... ოქროს სამკაულებსა თუ ჩაცმულობაში, არამედ იყოს შინაგან ადამიანში“* (1 პეტრე 3:3, 4).

სწორი შეხედულება მატერიალურ ნივთებზე

მარკეტოლოგების დაპირებები იშვიათად მართლდება. მაგრამ არსებობს სანდო სახელმძღვანელო, რომელიც გვეხმარება, ნამდვილი ბედნიერებისა და წარმატების მიღწევაში. ამ სტატიაში მოცემული ყველა პრინციპი ღვთის სიტყვიდან, ბიბლიიდან, არის მოყვანილი. ბიბლია არ განსჯის მატერიალური ნივთების შეძენას, მაგრამ გვასწავლის, „ვიცხოვროთ ფულის სიყვარულის გარეშე“, რასაც ნამდვილი ბედნიერება მოაქვს (ებრაელები 13:5).

თანამედროვე მარკეტინგის მეთოდები

ტელევიზიის, ჟურნალ-გაზეთებისა და ინტერნეტის გარდა თანამედროვე მარკეტოლოგები უამრავ მეთოდს მიმართავენ რეკლამის გასაკეთებლად.

ფარული რეკლამა: პროდუქცია და ბრენდის სახელები უეცრად ჩნდება სატელევიზიო შოუებში, ფილმებსა და ვიდეოთამაშებში.

ფარული მარკეტინგი: დაქირავებული პირები თვითონაც იყენებენ და სხვებთანაც

დიდი ენთუზიაზმით საუბრობენ გარკვეული პროდუქციის შესახებ ისე, რომ ვერავინ ხვდება, რომ მათ ამაში ფულს უხდიან.

სიტყვიერი მარკეტინგი: სარეკლამო აგენტებს მოუწოდებენ, ამა თუ იმ პროდუქტის შესახებ თავიანთ მეგობრებთან ილაპარაკონ და მას რეკლამა სოციალური ქსელების მეშვეობითაც გაუკეთონ. სარეკლამო აგენტებს წასახალისებლად აძლევენ პროდუქციის ნიმუშებს და სხვა სახის საჩუქრებს.

საერთო-საკლასო სამუშაო

შემთხვევითობის პრინციპით შემდეგ კითხვებზე 3 მოსწავლე პასუხს ცემს შემდეგნაირად:

- კვლევების თანახმად, რა ახდენს გავლენას ჩვენს ხარჯვით გადაწყვეტილებებზე?

  I მოსწავლე - პასუხობს დასმულ კითხვას;
  II მოსწავლე - აღნიშნავს ეთანხმება თუ არა;

III მოსწავლე - მოჰყავს არგუმენტი რატომ შეიძლება იყოს სწორი/არსწორი.

- რითი განსხვავდება ჩვენი საჭიროებები ჩვენივე სურვილებისგან?

  I მოსწავლე - პასუხობს დასმულ კითხვას;

  II მოსწავლე - აღნიშნავს ეთანხმება თუ არა;

  III მოსწავლე - მოჰყავს არგუმენტი რატომ შეიძლება იყოს სწორი/არსწორი.

ჩამოწერეთ დაფაზე თქვენი აზრით რომელი მათგანის (სურვილები, საჭიროებები) დაკმაყოფილებაზე ზრუნვაა მნიშვნელოვანი და დაასახელეთ რატომ?

8 ნაბიჯი ბიუჯეტის შესადგენად

ნაბიჯი პირველი: ბიუჯეტის პერიოდის განსაზღვრა

განსაზღვრეთ, თუ რა პერიოდზე გსურთ პირადი ბიუჯეტის შედგენა.
თქვენი მიზნებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე პირადი ბიუჯეტი შეიძლება ნებისმიერ პერიოდზე შედგეს. ის შესაძლოა 1 კვირის, 1 თვის, 1 კვარტლის, 1 წლის ან სხვა, უფრო ხანგრძლივ პერიოდზე იყოს განსაზღვრული.

პირადი ბიუჯეტის შედგენისას უნდა გაითვალისწინოთ შემოსავლის მიღების პერიოდულობა, ანუ დროის ის შუალედი, რომლის განმავლობაშიც იღებთ ხოლმე შემოსავლებს: მაგალითად, ხელფასს, იჯარას ან სხვა.

როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები ანაზღაურებას თვეში ერთხელ იღებენ, სწორედ ამიტომ სასურველია, ბიუჯეტის შედგენა ერთი თვის პერიოდზე დაიწყოთ. მოდი, შემდგომი ნაბიჯებიც ერთთვიანი ბიუჯეტის მაგალითზე განვიხილოთ.

ნაბიჯი მეორე: შემოსავლების განსაზღვრა

განსაზღვრეთ საპროგნოზო შემოსავალი

მას შემდეგ, რაც აირჩევთ ბიუჯეტისთვის პერიოდს, განსაზღვრეთ საპროგნოზო, ანუ სავარაუდო შემოსავალი, რომელსაც ამ პერიოდის განმავლობაში ელოდებით. ჩამოწერეთ თქვენი შემოსავლის საპროგნოზო წყაროები და თითოეული მათგანის გასწვრივ მიუთითეთ მომდევნო პერიოდის ანუ მომავალი 1 თვის განმავლობაში მისაღები შემოსავლები. გაითვალისწინეთ, რომ შემოსავლებში იგულისხმება როგორც ფიქსირებული, ასევე ცვლადი ხასიათის შემოსავლები.

გაითვალისწინეთ ფიქსირებული და ცვლადი შემოსავლები

ფიქსირებულ შემოსავალს მიეკუთვნება ისეთი შემოსავლები, რომლებიც კონკრეტული პერიოდის განმავლობაში არ იცვლება. მაგალითად, სასწავლებლიდან მიღებული ყოველთვიური სტიპენდია, დამსაქმებლის მიერ ჩარიცხული ხელფასი, ბინის ან კომერციული ფართის გაქირავებიდან მიღებული ყოველთვიური ქირა და სხვა.

ცვლადი შემოსავლები კი ისეთი შემოსავლებია, რომლებიც განსხვავებულია სხვადასხვა პერიოდებში ან მხოლოდ ერთ კონკრეტულ პერიოდში გვხვდება. მაგალითად, ახალ წელს ან დაბადების დღისთვის საჩუქრად მიღებული თანხა, საზღვარგარეთ მცხოვრები ნათესავისგან გამოგზავნილი ფულადი გზავნილი, რიგგარეშე პრემია/ბონუსი და სხვა.

აღრიცხეთ ფაქტობრივი შემოსავალი

აქვე გასათვალისწინებელია, რომ ცალკე სვეტში აუცილებლად უნდა აღრიცხოთ შერჩეული პერიოდის განმავლობაში მიღებული ფაქტობრივი შემოსავალიც. ეს კი უკვე იმ პერიოდში ანუ მომდევნო 1 თვის ბოლოს უნდა გააკეთოთ, რომლისთვისაც წინასწარ განსაზღვრეთ შემოსავლები. საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლების შედარების გზით, თქვენ თავიდან აირიდებთ მიმდინარე თვის ბიუჯეტში შესაძლო შეცდომებსა და უკეთ შეძლებთ მომდევნო თვის დაგეგმვას.

ნაბიჯი მესამე: შემოსავლების დაჯამება

შეაჯამეთ საპროგნოზო შემოსავლის სვეტში თქვენ მიერ მითითებული თანხები - ეს 1 თვის განმავლობაში მისაღები თქვენი მთლიანი შემოსავალია და, შესაბამისად, პირადი ბიუჯეტის შედგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი უკვე განვლილია.

ნაბიჯი მეოთხე: ხარჯების განსაზღვრა

განსაზღვრეთ საპროგნოზო, ანუ სავარაუდო ხარჯები

შემოსავლების მსგავსად, ხარჯებიც შეიძლება იყოს ფიქსირებული და ცვლადი. მაგალითისთვის, სესხის ან ბინის ქირის გადასახადი, ზოგიერთი კომუნალური, როგორიცაა ინტერნეტის ან ტელევიზიის გადასახადი ფიქსირებულ ხარჯებს განეკუთვნება, ხოლო საკვები პროდუქტების, სამოსის შეძენის, განტვირთვის - თეატრისა და კინოს ბილეთების ღირებულება, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადი ცვლადი სახის ხარჯია. ცვლადი ხარჯების მოცულობა დამოკიდებულია თქვენი ხარჯვის თავისებურებაზე, მაგალითად, რამდენად გვიყვარს მაღაზიებისა თუ გასართობი ადგილების ხშირად სტუმრობა.

გამიჯნეთ აუცილებელი და არააუცილებელი ხარჯები

ბიუჯეტის ეფექტური მართვისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია აუცილებელი და არააუცილებელი ხარჯების განსაზღვრა.

აუცილებელი ხარჯები ისეთი ხარჯებია, რომლებზედაც უარის თქმა თითქმის შეუძლებელია და რომლებიც საკუთარი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად არის საჭირო. ასეთია კომუნალური (ელექტროენერგიის, წყლის, და სხვა) გადასახადები, ბინის ქირა (თუ სახლს ქირაობთ), სესხის გადასახადი (თუ სესხით სარგებლობთ), საკვების და ტრანსპორტის ხარჯები, სადაზღვევო შენატანი (თუ დაზღვევით სარგებლობთ) და სხვა.

რაც შეეხება არააუცილებელ ხარჯებს - მასში ყველა ის დანარჩენი ხარჯი მოიაზრება, რომელთა გაწევაც შეიძლება სულაც არ იყოს საჭირო, მაგრამ თქვენი სურვილების ასრულებას და კომფორტის უზრუნველყოფას ემსახურება. არააუცილებელი ხარჯის მაგალითია კინო-თეატრის ბილეთები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაცვლად ტაქსით მგზავრობის ხარჯი, შუადღეზე წასახემსებლის სახლიდან წაღების ნაცვლად კაფესა და რესტორანში ვიზიტის ხარჯი და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელი ხარჯები, მეტწილად, საჭიროების დაკმაყოფილებას ემსახურება, ხოლო არააუცილებელი ხარჯები, როგორც წესი, საკუთარი სურვილების ასრულებას.

რატომ არის მნიშვნელოვანი ამ ორი ტიპის ხარჯის ერთმანეთისგან გამიჯვნა?

ხარჯების აუცილებელ და არააუცილებელ ტიპებად დაყოფა:

- დაგეხმარებათ ხარჯვის დროს დასახოთ პრიორიტეტები, შედეგად კი, არასაჭირო ნივთების შეძენისგან თავის შეკავებას შეძლებთ;
- დაგიცავთ ხარჯვის დროს იმპულსური გადაწყვეტილებების მიღებისგან და ფულის გაფლანგვისგან;
- დაგეხმარებათ გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაში და ფულის გააზრებულად ხარჯვაში;
- დაგეხმარებათ თანხის უფრო ოპტიმალურად დაზოგვაში.

იმისთვის, რომ მიიღოთ პირადი ფინანსური კეთილდღეობისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს გონივრული, გააზრებული და პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული. მათ შორის, კარგად უნდა იყოს

გააზრებული ცხოვრების კონკრეტული მომენტისთვის არსებული საკითხი თქვენთვის საჭიროების საგანია თუ მხოლოდ სურვილი.

საჭიროება თუ სურვილი?

განვიხილოთ ახალი ლეპტოპის შეძენის შემთხვევა ორი სხვადასხვა ადამიანის მაგალითზე:

ანი დიზაინერია, გიორგი კი ექიმი, მართალია ორივეს აქვს ლეპტოპი, მაგრამ ორივე მათგანს სურს ახლის შეძენა. ანის პროფესიიდან გამომდინარე, სჭირდება ლეპტოპის შეცვლა - ის ხომ თავისი საქმის შესრულებას ახალი კომპიუტერით უკეთ შეძლებს, სასურველ პროგრამებს ჩაწერს და უფრო სწრაფად და ხარისხიანად დაასრულებს პროექტებზე მუშაობას.

თავისთავად, ლეპტოპი გიორგისთვისაც საჭიროებას წარმოადგენს. ის ინტერნეტის დახმარებით ახალ ინფორმაციას და საერთაშორისო პრაქტიკას ეცნობა, მის მოთხოვნებს კი არსებული ლეპტოპიც აკმაყოფილებს. გამოდის, რომ გიორგის უბრალოდ ტექნიკის ახალი მოდელი მოსწონს და საკუთარი თავის დასაჩუქრება სურს.

ამ ორი კონკრეტული შემთხვევის განხილვის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ გიორგისთვის ახალი შენაძენი უბრალოდ სურვილია, ანისთვის კი სწორი ინვესტიცია და საჭიროება.

ფიქრობთ, არააუცილებელი ხარჯები ბიუჯეტის შედგენისას საერთოდ არ უნდა იყოს გათვალისწინებული?

რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, არააუცილებელ ხარჯებზე საერთოდ უარი თქვათ, მეტიც, ზოგიერთი არააუცილებელი ხარჯის გაწევა, პირიქით, დროის კონკრეტული მომენტისთვის, თქვენთვის სარგებლის მომტანიც კი შეიძლება იყოს. ხანდახან საჭიროა კიდეც გაანებივროთ თავი საყიდლებზე სიარულით, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებზე დასწრებით, მათთან ერთად ფინჯანი ჩაის დალევითა და სასიამოვნო საუბრებით. გარდა ამისა, კარგია თუ გაქვთ ჰობი და არ გავიწყდებათ ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებაც, მაგალითად, სტუმრობთ საცურაო აუზსა თუ სპორტ დარბაზს. ამ სახის არააუცილებელი ხარჯის გაწევა ადამიანისათვის სტიმულის მომცემია და ხანდახან განტვირთვისა და გახალისების საუკეთესო გზა - შეგვიძლია ისინი პერიოდულად აუცილებელ ხარჯადაც კი მივიჩნიოთ.

აღრიცხეთ ფაქტობრივი ხარჯები

გაითვალისწინეთ, რომ ფაქტობრივი შემოსავლების მსგავსად, მომდევნო ერთი თვის განმავლობაში ფაქტობრივი ხარჯების აღრიცხვაც მნიშვნელოვანია. საპროგნოზო ხარჯები შესაძლოა განსხვავდებოდეს თვის განმავლობაში რეალურად გაწეული თანხებისგან. მათი შედარება კი მომავალი თვეების უკეთ დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

ნაბიჯი მეხუთე: ხარჯების დაჯამება

შეაჯამეთ საპროგნოზო ხარჯების სვეტში თქვენ მიერ მითითებული თანხები - ეს 1 თვის განმავლობაში თქვენ მიერ დაგეგმილი ხარჯების პირველადი ვერსიაა, რომელიც შეიძლება შემდეგ კიდევ გადაიხედოს, რადგან ბიუჯეტის შედგენის და შემოსავლების გადანაწილების ერთ-ერთი მთავარი მიზანი დანაზოგების ოპტიმალური მოცულობისთვის მომზადებაა.

ნაბიჯი მეექვსე: ნაშთის გამოანგარიშება

გამოაკელით მთლიან საპროგნოზო შემოსავალს მთლიანი საპროგნოზო ხარჯი. მიღებული შედეგების მიხედვით მოგიწევთ ან დაუბრუნდეთ წინა ნაბიჯებს ან გადახვიდეთ შემდეგ, მეშვიდე ნაბიჯზე.
მაშ, ასე:

შედეგი 1: ნაშთი 0-ზე ნაკლებია
ანუ თქვენი ხარჯები შემოსავალს აჭარბებს. ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტი „დეფიციტურია“ და ფინანსური სირთულეები გარდაუვალია. ასეთ დროს საუკეთესო გზაა ხარჯებს გადაავლოთ თვალი და მათ შემცირებაზე იზრუნოთ იმდენად, რომ საბოლოო ჯამში მიღებული სხვაობა შემოსავლების 10%-ზე მეტი მაინც იყოს.

შედეგი 2: ნაშთი 0-დან შემოსავლების 10%-მდეა
თუ ნაშთი 0-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება შემოსავლების 10%-ს, ეს ნიშნავს, რომ თქვენი შემოსავლებიდან გარკვეული თანხა გრჩებათ, მაგრამ დანაზოგის შესაქმნელად არც თუ ისე ოპტიმალური მოცულობით. გირჩევთ, გადაავლოთ თვალი ხარჯებს, განსაკუთრებით კი არააუცილებელ ხარჯებს და ისინი ისე შეამციროთ, რომ საპროგნოზო შემოსავლებისა და საპროგნოზო შემოსავლების სხვაობა შემოსავლების 10%-ს მაინც შეადგენდეს;

შედეგი 3: ნაშთი შემოსავლების 10% ან მეტია
თუ მიღებული სხვაობა შემოსავლების 10%-ზე მეტია, ეს ნიშნავს, რომ თვის ბოლოს თავისუფალი თანხა გრჩებათ, რომელიც შეგიძლიათ დანაზოგების შესაქმნელად გამოიყენოთ. გახსოვდეთ, რაც მეტია ეს სხვაობა, მით მეტი თანხების მიმართვა შეგიძლიათ დანაზოგებზე და თქვენი ფინანსური მიზნების მიღწევაც უფრო ნაკლებ დროში იქნება შესაძლებელი. თუ ფიქრობთ, რომ მეტი თანხის დაზოგვა უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, შეგიძლიათ ხარჯებს ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ გადაავლოთ თვალი, რომ დანაზოგებისთვის კიდევ უფრო ოპტიმალური რაოდენობის თანხა მიიღოთ.

საპროგნოზო ბიუჯეტის დასაკორექტირებლად შეგეძლოთ გათვლები შემოსავლების გაზრდაზეც გაგეკეთებინათ, თუმცა, ალბათ, ეს უფრო ნაკლებ მოსალოდნელია. თუმცა, არც გამორიცხული არაა და სავსებით რეალურია თუ

ისეთი ტიპის შემოსავლები გაქვთ, რომლის მოცულობა მხოლოდ თქვენს სურვილზეა დამოკიდებული და არა გარემო პირობებზე თუ სხვა, მესამე პირებზე.

რაც შეეხება 10%-იან სხვაობას, ზოგადად რეკომენდებულია რომ შემოსავლების მინიმუმ 10% მაინც უნდა გადაიდოს დანაზოგებისათვის. რა თქმა უნდა, დანაზოგის მოცულობა მეტიც შეიძლება იყოს და მისი კონკრეტული მოცულობა თქვენი ფინანსური მიზნებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, თუმცა ითვლება, რომ მიუხედავად შემოსავლების მოცულობისა, თუ მისი მინიმუმ 10% მაინც მიემართება დანაზოგებში, ე.ი. პირადი ფინანსების მართვა გონივრულად ხდება.

ნაბიჯი მეშვიდე: დაზოგვა

გადადეთ თანხა დანაზოგისთვის

დროა განვიხილოთ ბიუჯეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი - დაზოგვა და მეექვსე ნაბიჯზე მიღებული სხვაობის მიხედვით მიღებული თავისუფალი სახსრები თქვენი მომავალი მიზნების შესასრულებლად საჭირო დანაზოგებში ასახოთ. ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დაზოგვა და რა გზებით შეგიძლიათ დანაზოგების მოგროვება, ამ თემას შესაბამის მენიუში გაეცნობით. ბიუჯეტის შესადგენად კი თქვენ ფინანსურ მიზნებზე დაფიქრება და მათი მიღწევის შესაბამისი გრაფიკის განსაზღვრა იქნება საჭირო.

განსაზღვრეთ ფინანსური მიზნები

ფინანსური მიზნები შეიძლება იყოს მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი. მაგალითად, მოკლევადიან მიზნებს შესაძლოა განეკუთვნებოდეს ტელეფონის, ლეპტოპის ან სამოგზაუროდ პაკეტის შეძენა. საშუალო ვადიანს - მანქანის შეძენა ან კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციფიკური კურსის გავლა. რაც შეეხება გრძელვადიან მიზნებს, აქ შეგვიძლია სახლის ან აგარაკის შეძენა და საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაც მოვიაზროთ.

განსაზღვრეთ კონკრეტული მიზნის მიღწევისთვის საჭირო თანხა

რამდენადაც მეექვსე ნაბიჯზე დაზოგვისთვის უკვე კონკრეტული თანხა დაგეგმეთ, ახლა ის თქვენს კონკრეტულ მიზნებში გადაანაწილეთ. თუ მაგალითად, თქვენ სამივე ზემოაღნიშნული ტიპის მიზანი გაქვთ და აპირებთ 6 თვეში შეიძინოთ ტელეფონი, დაახლოებით 2 წელიწადში ავტომობილი, 5 წლის შემდეგ კი სახლის შესაძენად თანამონაწილეობის თანხის მოგროვებას აპირებთ, ტელეფონის ღირებულება 6-ზე გაყავით, და დარჩენილი თანხები ავტომობილისა და სახლის თანამონაწილეობის თანხებზე ისე გადაანაწილეთ, რომ დანაზოგისთვის განკუთვნილ მოცულობაში ჩაჯდეთ. და თუ მიზნები უფრო ამბიციური გაქვთ, ვიდრე დანაზოგებისთვის განკუთვნილი თანხა, მაშინ მე-4 ნაბიჯს დაუბრუნდით და კიდევ ერთხელ გადახედეთ, რამდენად შესაძლებელია ხარჯების მეტი ოპტიმიზირება გააკეთოთ.

ნაბიჯი მერვე: ბიუჯეტის კონტროლი

ახლა კი გადავდივართ ბიუჯეტირების ყველაზე საინტერესო ნაწილზე - საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების კონტროლზე.

აღრიცხეთ მცირე ხარჯებიც კი

გახსოვდეთ, რომ პირადი ფინანსების უკეთ კონტროლისთვის სასურველია მცირე დანახარჯიც კი, როგორიცაა მაგალითად ტკბილეულის ან თუნდაც საღეჭი რეზინის შეძენა, მყისიერად მიუთითოთ ფაქტობრივი დანახარჯების სვეტში.

პერიოდულად შეადარეთ საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები

ეცადეთ ყოველ დღე, ან კვირაში რამდენჯერმე საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტები შეადაროთ ერთმანეთს. მათ შორის მცირე სხვაობა ბუნებრივი და ხშირ შემთხვევაში გარდაუვალიც კია, მაგრამ თუ ფაქტობრივ და საპროგნოზო ბიუჯეტებს შორის მნიშვნელოვან სხვაობას აღმოაჩენთ, აუცილებლად უნდა იზრუნოთ გამომწვევი მიზეზის პოვნაზე და, შესაბამისად, შეცვალოთ თქვენი, როგორც მხარჯველის ქცევა.

ბიუჯეტის შედგენისას უნდა ვიყოთ გულწრფელები საკუთარ თავთან და ბიუჯეტის შემადგენელი თითოეული პუნქტი შეძლებისდაგვარად ზედმიწევნით უნდა შევავსოთ.

რა იწვევს სხვაობას ფაქტობრივ და საპროგნოზო ბიუჯეტებს შორის?

იმ შემთხვევაში თუ საპროგნოზო ხარჯები აჭარბებს ფაქტობრივ ხარჯებს - დაუკვირდით, იქნებ საპროგნოზო ბიუჯეტში საკუთარი ფულის დაზღვევის მიზნით მეტობით ჩაწერეთ საპროგნოზო დანახარჯები? მაგალითად, შემოდგომის დადგომასთან ერთად გაზარდეთ ელექტრო ენერგიისა და ბუნებრივი აირის საპროგნოზო გადასახადი. თვის ბოლოს კი მრიცხველების ანათვალის შესაბამისად გაცილებით ნაკლები ოდენობის კომუნალური ხარჯების გაწევა მოგიწიათ.

იმ შემთხვევაში თუ ფაქტობრივი ხარჯები აჭარბებს საპროგნოზოს - ეს იმას ნიშნავს, რომ ან რომელიმე ხარჯი არ გაგითვალისწინებიათ ბიუჯეტირებისას, ან თქვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოგიწიათ დამატებით ხარჯების გაწევა. მაგალითად, მეგობარმა გთხოვათ თანხის სესხება. ან სავაჭრო ობიექტების მიერ გამოცხადებულ სეზონური ფასდაკლების ცდუნებას ვერ გაუძელით და იმპულსურად გააკეთეთ შენაძენები. ფაქტობრივი დანახარჯების სვეტში კი დაგავიწყდათ შესაბამისი რიგგარეშე თუ გაუთვალისწინებელი ხარჯების აღნიშვნა.

ამრიგად, ფაქტობრივი და საპროგნოზო ბიუჯეტების ერთმანეთთან ხშირი შედარება გაძლევთ საშუალებას დაინახოთ საკუთარი ხარჯვისა და დაზოგვის ტენდენციები. ამასგარდა, უფრო მარტივად შეძლებთ მომდევნო თვეში ზუსტად გაწეროთ ბიუჯეტი და თანხვედრაში მოიყვანოთ ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლები.

საინფორმაციო ბუკლეტი პირადი ბიუჯეტის დაგეგმვაზე

(დანართი 1)

ვიდეო-რესურსის განხილვა - პურის ფული

https://www.youtube.com/watch?v=q-hv55FaUew

საერთო-საკლასო სამუშაო

სადისკუსიო კითხვები:

- რაში ხარჯავთ თქვენს თანხებს?
- როგორ/რის საფუძველზე იღებთ ფინანსურ გადაწყვეტილებებს?/რა ახდენს გავლენას თქვენს ხარჯვით გადაწყვეტილებებზე?
- გაიხსენეთ ერთერთი შემთხვევა, როდესაც ფინანსური დილემის წინაშე დადექით, მაგალითად, საკმარისი თანხა არ გქონდათ ერთდროულად ორი ან მეტი საჭიროება ან სურვილი დაგეკმაყოფილებინათ და გადაწყვეტილების მიღება დაგჭირდათ რომელ მათგანში დაგეხარჯათ თქვენი თანხა, რის საფუძველზე მიიღეთ გადაწყვეტილება? კმაყოფილი იყავით თუ არა თქვენი გადაწყვეტილებით? რატომ? თუკი არ იყავით მიღებული გადაწყვეტილებით კმაყოფილი, რატომ?
- დაგიხარჯავთ თუ არა ოდესმე თანხა ისეთ რამეში, რაც სინამდვილეში არ გჭირდებოდათ? რის გავლენით მიიღეთ ეს გადაწყვეტილება?
- შეგიძენიათ თუ არა ოდესმე გარკვეული ნივთი ისეთი ფაქტორების გავლენით, როგორებიცაა რეკლამა, ან თანატოლები?
- თუკი შეგიძენიათ, როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია მსგავსი ფინანსური გადაწყვეტილებები? იმ თანხით თქვენთვის მნიშვნელოვანი სხვა მიზნის მიღწევა, სურვილის შესრულება ხომ არ შეგეძლოთ?

ინდივიდუალური სამუშაო

შექმენი ესსე, თხზულება ან კომიქსი, რომელშიც წარმოაჩენ:

- რა გავლენას ახდენს რეკლამა ჩვენს ხარჯვით გადაწყვეტილებებზე?
- როგორ/რა ხერხებით/რა საშუალებებით წარმოაჩენს რეკლამა გარკვეულ ნივთებს სასურველად? საჭიროდ?
- რაზე დაფიქრება/რისი გაცნობიერებაა მნიშვნელოვანი რეკლამის გავლენის თავიდან ასაცილებლად?

ინდივიდუალური სამუშაო

შექმენი ბლოგ-პოსტი, რომელშიც წარმოაჩენ:

- რისი გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მოთხოვნილებებისა და სურვილების განსაზღვის/გადაწყვეტილების მიღების პროცესში?/სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად?
- რა/რომელი პრინციპებით მოქმედებაა მნიშვნელოვანი განსაზღვრული რესურსით მაქსიმალური შედეგის მისაღებად?
- გეგმავთ თუ არა თქვენს ბიუჯეტს?(მაგალითად, ყოველკვირეულს ან ყოველთვიურს)?
- თუკი გეგმავთ თქვენს ბიუჯეტს, გეხმარებათ თუ არა და როგორ გეხმარებათ თქვენი თანხების სწორად გადანაწილებაში?
- თუკი არ გეგმავთ, რა არის ამის მიზეზი? მაგალითად, ის რომ არ იცით ბიუჯეტის დაგეგმვა? თუ ის, რომ არ გიფიქრიათ არასდროს როგორ შეიძლება დაგეხმაროთ თანხების გადანაწილებაში/რატომ არის მნიშვნელოვანი პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა?
- როგორ დავგეგმო პირადი ბიუჯეტი?
- რაში დაგეხმარებათ/რატომ უნდა დაგეგმოთ პირადი ბიუჯეტი?
- რა არის ბიუჯეტი?
- როგორ შევაფასოთ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები სწორად?
- როგორ დავხარჯოთ თანხები მიზნობრივად/გონივრულად?
- როგორ ვიცხოვროთ იმაზე ნაკლები ხარჯით, ვიდრე ჩვენი შემოსავალია?
- როგორ ფიქრობთ, რა იდეას ატარებს გამონათქვამი „ფული ხელის ჭუჭყია“?
- ეთანხმებით თუ არა ამ გამონათქვამით გამოხატულ მოსაზრებას? რატომ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით?
- რამდენად იძლევა ეს მიდგომა ფინანსების სწორად, მიზნობრივად და სარფიანად გამოყენების შესაძლებლობას?

დაზოგვის შესახებ

დაზოგვა სხვადასხვა, მათ შორის, ფინანსური რესურსის გარკვეული ნაწილის სამომავლოდ გადადებას ნიშნავს. თქვენ შეგიძლიათ დაზოგოთ ყველაფერი, რასაც ყოველდღიური საჭიროებებისთვის მოიხმართ: მაგალითად, ენერგო, წყლის თუ სხვა რესურსები, ასევე, რა თქმა უნდა - ფული. ფულის დაზოგვა ნიშნავს, რომ თქვენს შემოსავლებს სრულად კი არ ხარჯავთ, არამედ მის გარკვეულ ნაწილს სამომავლო საჭიროებებისთვის ინახავთ. დაზოგილი თანხა კი მრავალი მიზნობრიობით შეიძლება გამოიყენოთ, იქნება ეს სასურველი ნივთის შეძენა, დასვენება, სწავლა თუ აგარაკის აშენება. დანაზოგის გასაკეთებლად დღეისათვის მრავალი ალტერნატივა არსებობს. თქვენ შეგიძლიათ თანხა სახლში შეინახოთ ან ფინანსურ ორგანიზაციას მიმართოთ და თანხის შენახვასთან ერთად მასზე დამატებითი სარგებელიც მიიღოთ. დაზოგვის პროცესში მნიშვნელოვანია, სწორად გააანალიზოთ მიზნები და ისე აირჩიოთ დაზოგვის თქვენთვის ხელსაყრელი მეთოდი.

ფულის დაზოგვის პროცესი შეიძლება არც ისე მარტივი აღმოჩნდეს, თუ თანხებს სპონტანურად, ახალ-ახალი სურვილებისა თუ საჭიროებების შესაბამისად ხარჯავთ. ახალი ნივთების შეძენის, გართობის თუ ხარჯებთან დაკავშირებული სხვა სურვილები ყოველდღიურად თავისუფალი თანხის ბოლომდე ათვისებისკენ გიბიძგებთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც დაზოგვას გადაწყვეტთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ თქვენი სურვილების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება მოგიწევთ და ამის მიხედვით უნდა აირჩიოთ - რომელ სურვილს აისრულებთ ახლავე და რომელს გადადებთ სამომავლოდ. შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა, რატომ თქვათ უარი თავისუფალ ხარჯვაზე თუ ამის შესაძლებლობა არსებობს? ან რატომ უნდა დაიწყოთ დაზოგვა თუ ის თქვენგან დისციპლინის და დამატებითი ძალისხმევის გამოჩენას მოითხოვს? ამ კითხვებზე პასუხები, თავის მხრივ, იმ სარგებელზე მიანიშნებს, რაც დაზოგვით მიიღწევა.

ინდივიდუალური სამუშაო

დაახლოებით განსაზღვრეთ რა რაოდენობის თანხა დახარჯეთ ბოლო ერთი კვირის/თვის განმავლობაში და აღწერე:

- რაში დახარჯეთ ყველაზე მეტი თანხა?
- დაფიქრდით, ხარჯების რა ნაწილი შეგეძლოთ დაგეზოგათ?

- დაახლოებით განსაზღვრეთ ბოლო ერთი თვის განმავლობაში რა თანხა შეიძლებოდა დაგეზოგათ?
- როგორ ფიქრობთ, თუკი განსაზღვრულ თანხებს ნამდვილად დაზოგავდით, რა დრო შესაძლებელია დაგჭირვებოდათ თქვენი ერთი კონკრეტული სურვილის ასასრულებლად საჭირო თანხის შესაგროვებლად?
- როგორ ფიქრობთ, თანხებს სპონტანურად, გაუთვალისწინებლად ხომ არ ხარჯავთ?
- როგორ ფიქრობთ, უნდა მისცეთ თავს ამისი უფლება, მაშინ როდესაც დანაზოგით სასურველი მიზნების მიღწევა შეგიძლიათ?
- როგორ გადავანაწილოთ ჩვენი ფული ხარჯებსა და დანაზოგებზე სწორად?

საერთო-საკლასო სამუშაო

მუშაობა წყვილებში

იმსჯელე და წარადგინე მცირე პრეზენტაცია კლასის წიინაშე შემდეგ კითხვებზე:

- ჩვენი თანხების რა ნაწილის დაზოგვაა სასურველი?
- რა ფორმით შეგვიძლია დანაზოგის გაკეთება?
- ფულის სახით დანაზოგის არსებობის შემთხვევაში, სად შეინახავდით თანხას - ბანკში თუ ყულაბაში?

- რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს თანხის ყულაბაში და ბანკში შენახვას?
- რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს თანხის სხვადასხვა ანაბრის სახით შენახვას?
- რა ფორმით სჯობს დანაზოგის გაკეთება?რატომ?

დანაზოგის უსაფრთხოება

დანაზოგების შენახვის ან შეგროვების როგორ მიმზიდველ და მოსახერხებელ პირობებზეც არ უნდა ვსაუბრობდეთ, დეპოზიტის მფლობელისთვის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იმის ცოდნაა, თუ რამდენად უსაფრთხოა თავისი თანხის სხვა პირისთვის სამართავად მინდობა და რა მოხდება თუკი სარისკო სიტუაცია წარმოიქმნება.

დანაზოგის უსაფრთხოება ბანკში

დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე დაცულ სადეპოზიტო პროდუქტს ბანკის დეპოზიტები წარმოადგენს. ერთი მხრივ, კომერციული ბანკი სტაბილური ინსტიტუციაა და მის შეუფერხებელი ფუნქციონირება ეროვნული ბანკის მუდმივი მონიტორინგის ქვეშაა, ხოლო მეორე მხრივ საქართველოს კომერციულ ბანკში გახსნილი ყველა დეპოზიტი ავტომატურად დაზღვეულია გახსნისთანავე.

კომერციული ბანკის მიერ საქმიანობის განხორციელება მხოლოდ ეროვნული ბანკის მხრიდან საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგაა შესაძლებელი. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად სხვა პირობების დაკმაყოფილების გარდა, იურიდიულმა პირებმა უნდა წარადგინოს საზედამხედველო კაპიტალი 50 მილიონი ლარის ოდენობით. ეს ნიშნავს, რომ ბანკს შექმნის მომენტში განსაზღვრული აქვს თანხა, რომელსაც გამოიყენებს საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი სხვადასხვა რისკის დასაბალანსებლად. გარდა ამისა, საქართველოს ეროვნული ბანკი დეპოზიტარების თანხების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომერციულ ბანკს უდგენს მთელი რიგ მოთხოვნებს, მათ შორის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და პერმანენტულ ზედამხედველობას უწევს მას ამ მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, რაც განაპირობებს საბანკო სექტორის სტაბილურობასა და სანდოობას.

დეპოზიტების დამატებითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 2018 წლის 1-ლი იანვრიდან საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკი ჩაერთო დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. 2020 წლის 1-ლი ივლისიდან კი სადაზღვევო ლიმიტი გაიზარდა და მიმდინარე მომენტისთვის თქვენ მიერ ყოველ ცალკეულ ბანკში განთავსებული თანხა დაზღვეულია 15000 ლარის ოდენობით. რაც იმას

ნიშნავს, რომ ბანკის მიმართ ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების პროცესის დაწყების შემთხვევაში, თქვენი თანხები ბანკში არსებულ ყველა ანგარიშზე დაჯამდება და რიგითობის გათვალისწინების გარეშე, პრაქტიკულად დაუყოვნებლივ, 20 დღის ვადაში, საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოში დაგროვებული თანხიდან აგინაზღაურდებათ ამ ბანკში სხვადასხვა ანგარიშზე ჯამურად განთავსებული თანხა, მაქსიმუმ 15,000 ლარი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ თქვენი დეპოზიტის თანხა აღემატება 15,000 ლარს, ამ თანხის ზემოთ არსებული თანხის ანაზღაურებაც მოხდება, თუმცა არა დაუყოვნებლივ, არამედ მოქმედი რეგულაციებით დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

დეპოზიტების დაზღვევის სქემაზე დეტალური ინფორმაციის მისაღებათ შეგიძლიათ ესტუმროთ სააგენტოს ვებგვერდს.

საქართველოში დეპოზიტების ავტომატური დაზღვევის სისტემა მოქმედებს მხოლოდ მოქმედ კომერციულ ბანკებში გახსნილ ანაბრებზე.

სხვა არასაბანკო დაწესებულებაში ინვესტირებული თანხები ამ სქემით დაზღვეული არ არისდა და ამ შემთხვევაში თქვენი თანხის სტაბილურ და უსაფრთხო განთავსებას ძირითადად, ორგანიზაციის გამოცდილება და ბაზარზე არსებული რეპუტაცია განაპირობებს.

დანაზოგის უსაფრთხოება სახლში

ვინაიდან თანხის შენახვის ერთ-ერთი გზა შეიძლება სახლში ფულის დაგროვებაც იყოს, საინტერესოა მისი უსაფრთხოების საკითხიც. გარდა იმისა, რომ სახლში შენახულ ფულზე არ დაგერიცხებათ საპროცენტო სარგებელი და დროთა განმავლობაში თქვენ მიერ შეგროვებული ფული ღირებულებას დაკარგავს, სახლში თანხის გაჩერებას ფიზიკური უსაფრთხოების საკითხებიც მწვავედ ეხება. საფინანსო ორგანიზაციებში შენახული ფული მკაცრად კონტროლირებად და დაცულ საცავებში ინახება და დაზღვეულიცაა მოპარვისა თუ განადგურებისგან. სახლში შენახული ფული კი, არა თუ ასე მკაცრად დაცული, არამედ ხშირად საერთოდ დაუცველადაცაა შენახული.

სახლში ფულის შენახვას თან ახლავს სხვადასხვა რისკები, მათ შორის:

ფულის ფიზიკური დაზიანების და/ან განადგურების რისკი, მაგალითად, წყალდიდობის, ხანძრის ან დაუდევარი ქმედებების გამო.

სახლში შენახულ ფულს ქურდობისა და არამიზნობრივად ხარჯვის რისკიც ემატება. აღსანიშნავია, რომ სადაზღვევო კომპანიები უძრავი ქონების დაზღვევისას ხშირად უარს ამბობენ ამ ტიპის დანაზოგის დაზღვევაზე და სახლში შენახულ ფულთან დაკავშირებული რისკები დაზღვევის გარეშე რჩება.

ინდივიდუალური სამუშაო

- როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფო დეპოზიტზე შენახული თანხის უსაფრთხოებას?
- რა უნდა გავითვალისწინოთ დანაზოგის დეპოზიტზე განთავსებისას მაქსიმალური მოგების მისაღებად?
- როგორ შევამციროთ არააუცილებელი ხარჯები და დავზოგოთ მეტი?
- რას ფიქრობთ დაზოგვაზე?/რამდენად საჭირო, მნიშვნელოვანი გგონიათ გარკვეული თანხის დაზოგვა?

გაუთვალისწინებელი ხარჯები

გაუთვალისწინებელი ხარჯები ეს არის მოულოდნელი, იმ ტიპის ხარჯები, რომლის წინასწარ გათვალისწინებაც ბიუჯეტის შედგენისას შეუძლებელია.

ფილმი 13 წლის ბიჭუნაზე, რომელიც თავის ოჯახსა და სოფელს უკიდურესი შიმშილისგან გადაარჩენს: **ბიჭი, რომელმაც ქარი მოათვინიერა**

დროის უპირატესობა

დღეს ჩვენ კაპიტალისტური ქვეყნების სიაში ვართ, მაგრამ რეალურად ძალიან ჩამოვრჩებით კაპიტალისტური ქვეყნების დონეს, რადგან თითქოს არსად გვეჩქარება, მაშინ როდესაც მსოფლიო ინდუსტრიულ რობოტებს აწარმოებს, ექსპორტზეც გააქვს და ეს რიცხვი სულ უფრო და უფრო მზარდია, ელონ მასკი მარსის კოლონიზაციას და მილიონი ადამიანის დასახლებას გეგმავს, რობოტებით ადამიანის სამუშაო ძალის ჩანაცვლებას აპირებენ, ხელოვნური ინტელექტი ფართოდ გამოიყენება და ზოგადად მეცნიერება სხვადასხვა სფეროში შევიდა. სამყაროს ასეთი განვითარების ფონზე ჩვენთან კი წლებია თხილს, ყურძნის, მადნების გადამუშავება და ექსპორტზე გატანა ხდება, ესენიც არასაკმარისი რაოდენობით და მოკლედ რომ ვთქვათ, თითქოს ვკმაყოფილდებით იმით რაც დღეს გვაქვს, მიუხედავად იმისა, ხვალ შეიძლება აღარ გვქონდეს.

ცხოვრებაში დროს განვსაზღვრავთ, როგორც წარსული, აწმყო, მომავალი. მეცნიერებაში კი დღემდე არ არსებობს საერთო აზრი დროის შესახებ, რადგან ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დრო არ არსებობს, მეორე ნაწილს სჯერა დროის არსებობის და მათი თეორია ზემოთ ნახსენებ ცხოვრებისეულ განმარტებას ეხება, ხოლო აინშტაინი დროს ილუზიას უწოდებდა. ამ აზრთა სხვადასხვაობიდან, ვიზიარებ

მოსაზრებას, რომ სამყაროში დრო არ არსებობს და მისი არსებობა ცხოვრების დასაბალანსებლად გამოვიგონეთ. აქედან გამომდინარე გაჩნდა პრიორიტეტები,უპირატესობები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების ხარისხს განსაზღვრავს.

უპირატესობებიდან აღსანიშნავია „დროის უპირატესობა“, რასაც ფინანსური და ეკონომიკური კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ალბათ ჩვენ ყველას გვქონია შემთხვევა, არჩევანის წინაშე ვმდგარვართ- ახლა თუ მომავალში? გადაწყვეტილების შედეგები კი ისეთია როგორიცაა ჩვენი დროის უპირატესობა და ეს განისაზღვრება

იმით თუ რამდენად ვზოგავთ თანხებს. თუ ჩვენ გვაქვს დროის მაღალი უპირატესობა (ესეიგი უპირატესობას ვანიჭებთ აწმყოს) ნაკლებად ვზრუნავთ დანაზოგის შექმნაზე და ორიენტირებულნი ვართ დღევანდელ მოთხოვნილებებზე. თუ ჩვენ გვაქვს დროის დაბალი უპირატესობა (ესეიგი აქცენტი მომავალზე კეთდება) ჩვენ ვზოგავთ შემოსავლის გარკვეულ ნაწილს, ანუ რამდენადაც ვზრუნავთ მომავალზე, იმდენად ვზოგავთ თანხებს. მაგალითისთვის განვიხილოთ: შენ გინდა დასასვენებლად წასვლა, მაგრამ შესაძლებლობა რაც ახლა გაქვს არის მოკლევადიანი და ძვირი, ამიტომ უნდა გადადო ეს დასვენება,რადგან გირჩევნია გქონდეს უკეთესი პირობები და მეტი დრო დასვენებისთვის. ასეთი გადაწყვეტილებით ჩანს, რომ ორიენტირებული ხარ მომავალზე. მეორე მაგალითისთვის განვიხილოთ მომავალი თვის გადასახდელი ბინის ქირა, თუმცა უარს არ ამბობ ამ თანხით დღეს კლუბში წასვლაზე. ამ შემთხვევაში შენ გაქვს დროის მაღალი უპირატესობა და პრიორიტეტულია დღევანდელი მოთხოვნილებები.

ზემოთ აღნიშნული მეორე მაგალითის და მსგავსი შემთხვევებისას ბუნებრივია დგება მომავალი თვის ქირის გადახდისთვის თანხის შოვნის გზების ძიება და ერთ-ერთია სესხის აღება. აღსანიშნავია რომ სესხებზე ხელმისაწვდომობა მითუმეტეს საქართველოში საკმაოდ მარტივია და ღირებულება, რომელიც ამ პროცესში, სესხება-გასესხებისას წარმოიშობა, ეწოდება საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთი და დროის უპირატესობა მჭირდო კავშირშია ერთმანეთთან, რადგან ბანკები, ფინანსური ორგანიზაციები ამით მოთხოვნის მთავარ სიგნალს იღებენ და განსაზღვრავენ ეკონომიკაში ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას. აქ მთავარი სურათი რაც უნდა დავინახოთ, ესაა ჩვენი დროის უპირატესობით გამოწვეული სესხების ტენდენცია საქართველოში, რაც საკმაოდ მაღალია. მიუხედავად იმისა რომ ქვეყანაში ზოგაგად არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობაა, სესხებს ხშირად იღებენ დროის მაღალი უპირატესობიდან გამომდინარე, თან ამას საერთო ტენდენცია გააჩნია. მხოლოდ ონლაინ სესხები რომ ავიღოთ, კრედიტინფოს მონაცემებით ფიქსირდება გაცემული ოთხასი მილიონი ერთეული სესხი, მაშინ როდესაც საქართველოს მოსახლეობა 3.720.4 მილიონია. ასეთ დროს რთულია საუბარი თუ როდის ზოგავს ჩვენი მოსახლეობა, ან თუ ზოგავს საერთოდ და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებ, მანამდე კი დანაზოგების ზოგად სპეციფიკას განვიხილავ.

დანაზოგების ტენდენციას და მისი შექმნის ფორმებს სხვადასხვა ქვეყნებში უამრავი ინსტიტუციონალური და სტრუქტურულად განსხვავებული ფაქტორები განაპირობებს და აქედან გამომდინარეობს თუ რომელ გზას აირჩევს ინდივიდი დანაზოგის შესაქმნელად, თანხის სიდიდისა და მისი პირადი გეგმების გათვალისწინებით. ამ ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

რეალური სპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე: ესეიგი სარგებელი ინფლაციის გათვალისწინებით

- მოლოდინები შემოსავლის ზრდაზე, სამსახურის სტაბილურობაზე
- კრდიტზე ხელმისაწვდომობა, დამატებითი ხარჯების განსაზღვრისთვის
- გადასახადები
- უმუშევრობის კომპენსაცია
- განათლების მიღების საფასური
- მოსახლეობის ხანდაზმულობა
- პენსიაზე გასვლის სტრუქტურა
- ჯანმრთელობის დაზღვევა
- კულტურული და სოციალური ფაქტორები

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები ის ყველაფერია რაც ქმნის განსხვავებულ ქვეყნებს და განსხვავებულ ეკონომიკებს. რამდენადაც კარგად არის დროის უპირატესობა ამ ფაქტორებთან კოორდინაციაში, იმის მიხედვით ხდება ქვეყანაში დანაზოგის დაგროვება. აქ საუბარია მხოლოდ საზოგადოების დანაზოგებზე და არა ეროვნულ დანაზოგზე, რომელშიც მოსახლეობის და სახელმწიფო დანაზოგებია გაერთიანებული და ერთმანეთისგან სპეციფიკურად განსხვავდებიან, თუმცა ორივე შეთხვევაში საერთო ისაა, რომ რესურსების წარმოებაში გარდაქმნის საშუალებას იძლევა . ასევე ბიზნესის ენაზე რომ განვიხილოთ დანაზოგები, ეს არის კაპიტალის რეზერვების გარკვეული მარაგი, ხშირად გამოხატული პროცენტებში, რაც ყველა წარმატებულ კომპანიას აქვს. ამ პრაქტიკის გადმოტანა ცხოვრებაში კარგი მაგალითი იქნებოდა ფინანსური რესურსების ეფექტური განაწილებისთვის, ყოველი წმინდა მოგების სიდიდეზე დანაზოგის პროცენტული გადაანგარიშება, ანუ რა ნაწილი წავა სხვადასხვა პირად თუ საინვესტიციო საქიანობაში. ამგვარად დაგროვება მარტივდება და თუ ჩვენ გვინდა უფრო მეტი მოხმარება შევძლოთ მომავალში, ამისათვის პირველ რიგში უნდა დავზოგოთ, რაც კარგ შემთხვევაში აისახება ფასეულობის შექმნაზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ფასეულობის შექმნა სამუშაო ადგილების შექმნასთან არ უნდა გავაიგივოთ, ეს ორი ნამდვილად არ არის ერთი და იგივე. ამ ორ შემთხვევას ხშირად აიგივებენ პოლიტიკოსები და ის ადამიანები ვისაც არ ესმის ეკონომიკა. პოლიტიკოსებს სჯერათ, რომ მათ შეუძლიათ გაზარდონ ეკონომიკა სამუშაო ადგილების შექმნით, მაგრამ ეს არ არის სიმართლე. სიმართლეა ის, რომ სამუშაო ადგილების შექმნა ადვილია, მაგრამ ფასეულობის შექმნა რთული. საზოგადოებას არ სჭირდება უწესრიგო სამუშაო ადგილები, რადგან გრძელვადიან პერიოდში ეფექტური შედეგები არ მოაქვს. ჩვენ გვჭირდება მეწარმეობის მასშტაბების ზრდა და გააქტიურება, რასაც ხშირად დანაზოგის შექმნა ასტიმულირებს. ამგვარად თუ ჩვენი მიზანია რომ გვქონდეს

ცხოვრების მაღალი სტანდარტები, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი იყოს ღარიბი და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაზე გვაქვს პრეტენზია, უნდა შევძლოთ დროის უპირატესობის გააზრება, რაც ჯერჯერობით საქართველოში არ გამოგვდის. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და ახლა ერთ-ერთ საინტერესო მაგალითს განვიხილავ:

ნორვეგიის ეკონომიკური სკოლის მეცნერების მიერ 45 ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში ჩატარდა კვლევა, დროის უპირატესობის დადგენის მიზნით, რომელიც ეფუძნებოდა "wait-or-not" პრინციპს. შეკითხვა მდგომარეობდა შემდეგში, რომელს აირჩევდა თუ მას გადაუხდიდნენ:

A: 3400$ მიმდინარე თვეში

B: 3800$ მომავალ თვეში

ამ კვლევის მიზნობრივი სეგმენტი ახალგაზრდები იყვნენ, რადგან, უფროსი ასაკის ადამიანები, რომლებიც მალე საპენსიო ასაკს მიაღწევენ ალბათ ნაკლებად ზრუნავენ კაპიტალის შექმნაზე, რადგან მათ ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები უკვე გაიარეს.

გამოკითხვაში, გასათვალისინებელია სხვაობა A და B შორის, გამოხატული თვიურ საპროცენტო განაკვეთში, რომელმაც შეადგინა 11.8% და ყველაზე მაღალი საპროცენტო განაკვეთი დაფიქსირდა, ბაზრებზე არსებულ საპროცენტო განაკვეთსა და ინფლაციის განაკვეთთან შედარებით. გამოკითხულთა 51% კაცები იყვნენ, 48%-ქალები და კვლევის შედეგები 8% დან 89%-მდე მერყეობდა, საიდანაც გერმანელი მონაწილეების 89%-ს ურჩევნია ლოდინი ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 8% ნიგერიის შემთხვევაში დაფიქსირდა.



სამწუხაროდ, როგორც ხედავთ, საქართველო ბოლოდან მეორე პოზიციაზე აღმოჩნდა, თუმცა სხვა შედეგი ალბათ არც იყო მოსალოდნელი, რადგან საქართველოში უყვართ დღევანდელი დღით ცხოვრება და არ უყვართ დაზოგვა.

აღნიშნული კვლევის მონაცემებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქვეყნების მოსახლეობა, რომლებიც დანაზოგის შექმნისა და კაპიტალის დაგროვებისკენ იყვნენ და არიან მიდრეკილნი სწრაფად განვითარდნენ და იქცნენ ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნებად. აქ მთავარია უნარი თუ როგორ ვიყენებთ ფინანსურ რესურსებს და შესაბამისად საზოგადოების დროის უპირატესობა ერთ-ერთი ფაქტორია რაც ნაწილობრივ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებში, ჰონგ-კონგში,კანადაში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში ანუ იმ ქვყნებში, რომლებიც ცხრილში მოწინავე პოზიციებზე არიან, თავის დროზე საზოგადოებაში დროის უპირატესობა მენტალურ დონემდე დავიდა და დღეს მათი ეკონომიკა მსოფლიოს ძლიერი ეკონომიკების რიცხვში შედის. მათი დაზოგვისადმი მიდრეკილება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი მეწარმეობის, მცირე და საშუალო ბიზნესების წილის ზრდის, მთლიან შიდა პროდუქტში. აქვე უნდა აღვნიშნო ჩვენი ქვენის მთლიან შიდა პროდუქტში SME -ს წილი, რაც დაახლოებით არის 21%, ხოლო რაოდენობრივად 80%-ზე მეტია და დანარჩენი კი დიდ ბიზნესებზე მოდის. ეს ძალიან მკვეთრი დისბალანსია ბაზარზე, რადგან იდეალურ შემთხხვევაში SME-ს წილი 90% უნდა იყოს. ქვეყანაში წარმოების ასეთი დაბალი ტემპებით შეუძლებელია იდეალური შემთხვევის ზღვარს მომავალ ათწლეულებში

მივაღწიოთ, ამიტომ საზოგადოებამ უნდა გაითავისოს თავისი როლი, რომ შექმნას რაიმე ღირებული რაც არამარტო მას არამედ იმ სოციუმსაც და ქვეყანასაც წაადგება რომელშიც იმყოფება.

სტატია - რატომ არ ვზოგავთ ფულს

"არ მაქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დავზოგო" – აღნიშნული ფრაზა ხშირად გვესმის და უმრავლესობა თანხმდება კიდეც, რომ ეს ჭეშმარიტებაა. ბუნებრივია, რაც მეტი შემოსავალი აქვს ადამიანს, დანაზოგის გაკეთება მით უფრო უმარტივდება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დანაზოგის გასაკეთებლად მხოლოდ შემოსავლის გარკვეული დონე არ არის საკმარისი. ამასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორია დაზოგვისადმი ადამიანის მიდრეკილება.

ამ მხრივ კი ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ზოგს შეუძლია, მაგალითად, 500 ლარის შემოსავლის პირობებშიც დაზოგოს, როცა სხვას არ შეუძლია დანაზოგის გაკეთება იმ შემთხვევაშიც კი, როცა მისი შემოსავალი, მაგალითად, 5 000 ლარია. თუმცა, მრავალი ქვეყნის გამოცდილებამ აჩვენა, რომ დაზოგვისადმი მეტ- ნაკლები მიდრეკილება არა მარტო ცალკეული ადამიანებისათვის დამახასიათებელი ფენომენია, არამედ ეროვნულ დონეზეც კი შეგვიძლია განვიხილოთ. ერთი და იმავე შემოსავლის პირობებში ზოგ ერს შეუძლია მეტი დაზოგოს, ზოგს კი – ნაკლები. საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც დაზოგვისადმი მიდრეკილება მაღალი არ არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამს.

ადამიანი თავის შემოსავალს დღეს დახარჯავს სრულად თუ ნაწილს დაზოგავს, მისი პირადი საქმეა და ვერ ვიტყვით, ცუდად მოიქცა თუ კარგად. თუმცა აღმოჩნდა, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და, შესაბამისად, უკეთეს ქვეყანაში ცხოვრების მიღწევისთვის უკეთესია, მეტს თუ დავზოგავთ. დანაზოგს სახლში აღარავინ ინახავს, ძირითადად ბანკში დებენ დეპოზიტზე ან ფასიან ქაღალდებს ყიდულობენ. აქედან გამომდინარე, დანაზოგი მომავალში ინვესტიციად გადაიქცევა და ახალი ბიზნესის დაწყების ან არსებულის გაფართოების წყაროდ იქცევა.

როდესაც ადამიანი ფულს შოულობს, მას დახარჯავს თუ დაზოგავს, ეს ფული მაინც ეკონომიკის ნაწილი იქნება, ხელს შეუწყობს ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნას, მაგრამ ხარჯვის შემთხვევაში ის ერთჯერადად შეიტანს წვლილს ქვეყნის ეკონომიკაში, დაზოგვის შემთხვევაში კი ის ინვესტიციად გადაიქცევა და არა მარტო პირველ წელს მოიტანს სარგებელს, არამედ შესაძლოა, ათწლეულების განმავლობაში ჰქონდეს გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. მით უმეტეს, იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების მქონე ქვეყანაში (2014 წლის მონაცემებით, საქართველოში დახარჯული ფულის 70% იმპორტირებული პროდუქციის შეძენას მოხმარდა) დახარჯული ფული ადგილობრივ წარმოებას ნაკლებად ასტიმულირებს. ამიტომაცაა, რომ ხშირად, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფული ეკონომიკური ზრდის წახალისების მიზნით იხარჯება, შედეგად ვიღებთ გაზრდილ იმპორტს და ლარის გაცვლით კურსზე ნეგატიურ გავლენას.

ამასთან ერთად, რაც მეტია დანაზოგი ქვეყანაში, მით უფრო იზრდება საინვესტიციო კაპიტალის მიწოდება, რაც სხვა თანაბარ პირობებში იწვევს სესხზე პროცენტის შემცირებას და, აქედან გამომდინარე, დაკრედიტების ზრდას. რაც ნაკლებია საპროცენტო განაკვეთი ქვეყანაში, ეკონომიკური ზრდა მით უფრო მეტია.



რატომ ვერ ვზოგავთ ფულს? დანაზოგის სიდიდე შედარებითია და მის მეტნაკლებობას სხვა ერების მიერ დაზოგილ ფულთან მიმართებით ვითვლით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინფორმაციით, 2014 წელს საქართველოში მთლიანმა დანაზოგმა მშპ-ის 21.5% (6.3 მილიარდი ლარი) შეადგინა და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში მე-80 ადგილი დაიკავა. მაღალი დანაზოგებით ძირითადად ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები გამოირჩევიან, მაგრამ საქართველოზე წინ აღმოჩნდნენ ისეთი ქვეყნებიც, როგორიცაა: ინდოეთი, ზამბია, ეთიოპია, მონღოლეთი და სხვა. ამასთან, საქართველოს აქვს უკეთესი მაჩვენებელი, ვიდრე აშშ-ს, ესპანეთს, იტალიას, პორტუგალიას, საბერძნეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებს, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი ჩვენზე გაცილებით მეტია და დანაზოგის გაკეთება მოქალაქეებს უფრო მარტივად შეუძლიათ. ამის მიზეზებს ქვემოთ განვიხილავთ.

ისტორიულად დაზოგვისადმი მიდრეკილების ზრდა დასავლური კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად არის მიჩნეული. ის ქვეყნები, სადაც კაპიტალიზმი საუკუნეების წინ განვითარდა, დღეს ჩვენზე მდიდრები არიან. ინგლისელი ფილოსოფოსი მაქს ვებერი თავის ნაშრომში "პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება" სწორედ პროტესტანტებისა და განსაკუთრებით პურიტანებისთვის დამახასიათებელ დაზოგვისადმი მიდრეკილებას მიიჩნევს დასავლური კაპიტალიზმის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტად. პურიტანული ეთიკა ამ მხრივ ორი რამით იყო გამორჩეული: პროფესიული საქმიანობა მიჩნეულ იქნა, როგორც ღვთის სადიდებლად შრომა და ასეთი გზით მოპოვებულ ფულს ჩამოშორდა ვერცხლისმოყვარეობის ცოდვად აღქმა. აგრეთვე, პურიტანული ეთიკა ასკეტურია, რასაც ფულის ხარჯვა მინიმუმამდე დაჰყავს. ამ ორი თვისების შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: შრომობდნენ ბევრს, ზოგავდნენ ბევრს, იზრდებოდა ინვესტიციები და წარმოება ფართოვდებოდა. დღესაც (თუ ნავთობით გამდიდრებულ ქვეყნებს გამოვაკლებთ), ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების უმეტესობის ძირითადი რელიგია პროტესტანტიზმია (ჩრდილოეთი ამერიკა, ჩრდილო- დასავლეთი ევროპა, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა).

ეროვნული დანაზოგი მოსახლეობისა და მთავრობის დანაზოგების ჯამია. შესაბამისად, მენტალური ფაქტორების გარდა, მნიშვნელოვანი გავლენა აქვს იმას, თუ რამდენს ზოგავს მთავრობა. მთავრობა ზოგავს, თუ ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტში (ნაერთ ბიუჯეტში კონსოლიდირებულია ქვეყნის სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტები) მიმდინარე შემოსავლები აჭარბებს მიმდინარე ხარჯებს. მიმდინარე შემოსავალებში იგულისხმება გადასახადებიდან, გრანტებიდან და არასაგადასახადო შემოსავლებიდან მიღებული თანხები, ხოლო მიმდინარე ხარჯებში ერთჯერადი დანიშნულების ისეთი ხარჯები, როგორიცაა: პენსია, ჯანდაცვა, ბიუროკრატიის შენახვა, სუბსიდიები, ვალის მომსახურება და სხვა. მიმდინარე შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობას ოფიციალურად ბიუჯეტის

საოპერაციო სალდო ეწოდება. 2014 წელს ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო

750 მილიონი ლარი იყო, ანუ მთავრობამ აღნიშნული თანხა დაზოგა. გამოდის, რომ ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილ განვითარებულ ქვეყნებში (აშშ, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი) სწორედ ბიუჯეტის მაღალი დეფიციტის გამო ნაკლებს ზოგავენ, ვიდრე საქართველოში. თუ მთავრობის დანაზოგის გარეშე ვნახავთ, კერძო დანაზოგი გაცილებით მაღალი აქვთ.

კერძო დანაზოგის შემთხვევაში პირველ რიგში შემოსავლების სიდიდეს აქვს მნიშვნელობა – მდიდრის დანაზოგი მეტია როგორც ნომინალურ, ასევე ფარდობით მაჩვენებლებში. შესაბამისად, მდიდარი ერებიც მეტს ზოგავენ. თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად თანაბრად არის გადანაწილებული შემოსავლები. დღეს შემოსავლების თანაბრად გადანაწილება საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ერთ- ერთ მოცემულობად არის მიჩნეული, თუმცა ასეთ საზოგადოებაში უფრო ნაკლები დანაზოგი კეთდება და ეკონომიკა ნელი ტემპით ვითარდება. ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრების განვითარების დონე, დემოგრაფიული მდგომარეობა, საპენსიო ასაკი და გადასახადების დონე. თუ დღევანდელი პენსიონერები პენსიას იღებენ დღეს გადახდილი გადასახადებით, მაშინ ნაკლები დანაზოგი გროვდება, მაგრამ, თუ ადამიანი თავად აგროვებს თანხას თავისი საპენსიო ასაკისათვის, მაშინ პირიქით, ეროვნული დანაზოგი იზრდება. დანაზოგების ზრდის და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარების მხრივ, მიმდინარე პენსიის მიმდინარე გადასახადებით უზრუნველყოფას სჯობია როგორც კერძო დაგროვებითი სისტემა (თუნდაც სავალდებულო), ასევე საერთოდ სახელმწიფო პენსიის არარსებობა. მთავარია, საპენსიო სისტემა ისე იყოს მოწყობილი, რომ მასში სახელმწიფოს როლი და გარანტია მინიმალური იყოს.

დაზოგვისადმი მიდრეკილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს დანაზოგის სარფიანად განთავსების შესაძლებლობას. ამის პოტენციური გზა კი სამია: ბანკში დეპოზიტზე შენახვა, ახალი ბიზნესის დაწყება და ფასიანი ქაღალდების (აქციებისა და ობლიგაციების) შეძენა. საქართველოში დეპოზიტის გახსნა და თანხის დაგროვება პროცედურულად ძალიან მარტივია, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთიც მაღალია. ბიზნესის დაწყების სიმარტივით კი საქართველო მსოფლიო დონეზეც კი გამორჩეულია, რადგან ბიუროკრატიული პროცედურები მინიმალურია. რჩება მესამე გზა – ფასიანი ქაღალდების შეძენა, ეს კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია, იმდენად მწირია ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ამ დროს აქციების მრავალფეროვან არჩევანს და თავისუფლად შეძენის შესაძლებლობას შეუძლია ადამიანი მცირე დანაზოგითაც კი ინვესტორად აქციოს. შესაბამისად, საფონდო ბირჟის განვითარება მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოში დაზოგვისადმი სტიმულს.

მისასალმებელი და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში საქართველოში ეროვნული დანაზოგის დონეს ზრდის ტენდენცია აქვს. 2010

წელს თუ მშპ-ის 11.6% იყო, 2014 წელს უკვე 21.5%-მდე გაიზარდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რადგან ამ მიმართულებით ზრდის ტენდენცია გვაქვს, ეს საკმარისია, მაგრამ ასე არ არის. რაც უფრო დიდი ხდება ქვეყნის ეკონომიკა, მას მეტი ინვესტიცია, შესაბამისად, მეტი დანაზოგი სჭირდება. თუ შიდა დანაზოგის სასურველ დონეს არ მივაღწევთ, საქართველოს ეკონომიკის განვითარება ძირითადად უცხოურ ინვესტიციებზე იქნება დამოკიდებული, ეს მეტწილად დღესაც ასე არის. უცხოური ინვესტიციები ყოველთვის მნიშვნელოვანი დარჩება, მაგრამ ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად შიდა ინვესტიციებია საჭირო.

დაზოგვისადმი მიდრეკილების მასტიმულირებელი ეკონომიკური ინსტრუმენტების განვითარებასთან ერთად საქართველოს მენტალური ცვლილებაც ესაჭიროება, რაც გამოიხატება ჭამა-სმის, "სამარიაჟო" ავტომობილების, მობილური ტელეფონებისა და დასვენების მოჭარბებული სიყვარულიდან შრომის, სწავლისა და საკუთარი კერძო ბიზნესის კეთების სიყვარულისკენ ცვლილებაში. რთულია იმის თქმა, თუ საიდან უნდა დაიწყოს ეს ცვლილება, მაგრამ ცვლილება მიიღწევა, როდესაც საზოგადოება იქნება მერიტოკრატიული, წარმატებული დაჯილდოვდება და მათ შორის დაჯილდოვდება ისიც, ვინც დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ამჯობინა. ზოგადად, მოთმენა რთულია, მაგრამ ვინც დღეს მოითმენს, მომავალში მოთმენის კომპენსაცია უნდა მიიღოს. სწორედ ასე ხდება ისეთ ქვეყნებში, სადაც საბაზრო- ფინანსური სექტორის განვითარების დონე მაღალია, საკუთრების უფლებები კარგად არის დაცული.



ეკატერინე ფორაქიშვილი (სარაჯიშვილი)

ეკატერინე 1882 წელს დაიბადა ივანე ფორაქიშვილისა და ნატალია წილოსანის ოჯახში. მისი მასწავლებელი იმ დროის ცნობილი მწიგნობარი ქალი ნატო სულხანიშვილი იყო, რომელმაც ეკატერინეს განათლების მიღებაში დიდი წვლილი შეიტანა.

ეკატერინე თავისუფლად საუბრობდა რუსულად, ინგლისურად და გერმანულად, რაც მას ეხმარებოდა საქართველოში ჩამოსულ ევროპელებთან საქმიან ურთიერთობაში (მარჯორი უორდროპი, არტურ ლაისტი, ბერტა ფონ ზუტნერი და სხვ.).

ეკატერინე თავის მეუღლესთან, დავით სარაჯიშვილთან ერთად, როგორც რუსეთის იმპერიის, ასევე პირველი რესპუბლიკის წლებში თავდაუზოგავად ცდილობდა ხელი შეეწყო ეროვნული იდეების გავრცელებაში. ეკატერინე და დავით სარაჯიშვილები არ იშურებდნენ საკუთარ ქონებას საგანმანათლებლო მოძრაობისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციაში.

ეკატერინემ 3 მილიონი უანდერძა ქართული კულტურისთვის ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუციას. მათ შორის:

- 500 000 მანეთი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ასევე 1000 მანეთის პროცენტიანი ქაღალდები
- 200 000 მანეთი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას
- 150 000 მანეთი ქუთაისის თეატრის ასაშენებლად
- 25 000 მანეთი დრამატულ საზოგადოებას
- 50 000 მანეთი თბილისში პოლიტექნიკური ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის დასაარსებლად
- 30 000 მანეთი კავკავის (ორჯონიკიძე) ღარიბ მოსწავლეებს (განურჩევლად ეროვნებისა), სწავლის ქირის გადასახდელად
- 200 000 მანეთი ქირურგიული საავადმყოფოს ასაშენებლად თბილისში

ეს არის ის მცირე ჩამონათვალი ქველმოქმედებისამ რომელიც ეკატერინემ თავის ანდერძში მოიხსენია. ამავე ანდერძში ეკატერინემ მიუთითა, რომ ორი მილიონის ღირებულების ქარხნები და დაწესებულებები მათი ლიკვიდაციის შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელ, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და თბილისის დრამატულ საზოგადოებებს უნდა გადასცემოდა.

ანასტასია თუმანიშვილი

ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი (1849-1932) დაიბადა ცნობილი კრიტიკოსისა და პუბლიცისტი მიხეილ თუმანიშვილის ოჯახში. ანასტასია ბავშვობიდან ესწრებოდა იმ დროის საზოგადო მოღვაწეების, მწერლებისა და პოეტების შეხვედრებს, რამაც, როგორც თავად იხსენებს, დიდი გავლენა მოახდინა მასზე.

მას აინტერესებდა უცხო ენები (გერმანული, ფრანგული), მუსიკა და იმ დროის მოწინავე საგანმანათლებლო იდეები. 1876 წელს ანასტასია შვეიცარიაში გაემგზავრა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდის საკითხების შესასწავლად. ოთხი თვის შემდეგ სამშობლოში ახალი იდეებით დაბრუნდა. მის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ოთხი თვის მოგზაურობის შემდეგ ოჯახს დავუბრუნდი, თბილისში ჩამოვედი და მაშინ გამოირკვა ჩემი ცხოვრების მიზანი: მუშაობა, განუწყვეტლივ მუშაობა ჩემი ხალხისთვის“ (ღვინიაშვილი,1959:7).

1884 წელს ანასტასიას ინიციატივით ჩამოყალიბდა მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთდახმარების საზოგადოება, რომელიც დიდ კულტურულ და სოციალურ საქმიანობას ეწეოდა. ანასტასიას იდეებითა და დაფინანსებით ეწყობოდა სახალხო ლექციები, საკვირაო სკოლები, საქველმოქმედო საღამოები. ასევე გაიხსნა სახალხო ბიბლიოთეკა. ამავე პერიოდში ანასტასია თუმანიშვილის თაოსნობით სოფელ ხელთუბანში გაიხსნა სკოლა და მასთან არსებული ობოლთა თავშესაფარი.

ანასტასია თუმანიშვილის დაარსებულია საბავშვო ჟურნალი “ჯეჯილი”. მას ბევრი სირთულის გადალახვა მოუხდა, რადგან მუდმივი საფრთხე არსებობდა ცენზურისა და უსახსრობისა გამო ჟურნალის დახურვისა. თუმცა, ამ ყველაფრის ის მიუხედავად, 1890 წელს დაწყებულ სარედაქციო საქმიანობას ის 30 წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა.

ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი

ეკატერინემ განათლება ოჯახის ხელშეწყობით მიიღო. მან 19 წლის ასაკში შვეიცარიაში დაამთავრა გიმნაზია და შემდეგ მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება. იმ დროის ქართულ საზოგადოებას ქალის განათლების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ჰქონდა და, უფრო მეტიც, ამ პროცესის წახალისებასაც ცდილობდა. ეკატერინეს საქმრო, სერგეი მესხი, სიხარულით შეხვდა თავისი საცოლის შვეიცარიაში გამგზავრებას , მის წერილში ვკითხულობთ: „ოთხი წელიწადი მოითმინე, მოიგონე ის ნეტარი დრო და იფიქრე იმ მომავალ დროზე, როდესაც შენ აქ კურს დასრულებული და მომზადებული ჩვენში სამუშაოდ ჩამოხვალ და ჩვენ ერთად შევუდგებით ჩვენს სამშობლოში იმ საქმეებს, რომლებიც ჩვენი ცხოვრების მიზნად და მანუგეშებლად უნდა მიგვაჩნდეს“ (ღვინიაშვილი, 1959).

ციურიხში გატარებული წლები საკმაოდ ნაყოფიერი იყო კეკესთვის. მან ისწავლა გერმანული და ფრანგული ენები, გაეცნო იმ დროის მოწინავე იდეებს, აქტიურად ადევნებდა თვალს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს და პარალელურად სწავლობდა მედიცინას.

კეკე მთარგმნელობით და საქაველმოქმედო საქმიანობაში უცხოეთში გამგზავრებამდეც იყო ჩართული და სამშობლოში დაბრუნებისას კვლავ გააგრძელა იგი. მან, ანასტასია წერეთლის მიერ შექმნილ წრეში გაერთიანებულმა, სხვა მრავალ ნაწარმოებთან ერთად თარგმნა „მეთვრემეტე საუკუნის ამერიკელი ქალები“. მის მიერ შერჩეული სათარგმნი ტექსტები ყოველთვის სოციალური სიმძაფრითა და აქტუალობით გამოირჩეოდა. მასვე დიდი წვლილი მიუძღვის საბავშვო ლიტერატურის გამრავალფეროვნებაში. გარდა იმისა, რომ უშუალოდ აფინანსებდა ბავშვთა განათლებას, ასევე აქტიურად თარგმნიდა საბავშვო ლიტერატურას.

ელენე ყიფიანი

ელენე იყო მთარგმნელი, მსახიობი, აქტიურად მონაწილეობდა საგამომცემლო და საქველმოქმედო საქმიანობაში. ფრანგულიდან თარგმნა ჰიუგო, მოლიერი. ტასო წერეთელთან ერთად ლიტერატორ ქალთა წრე ჩამოაყალიბა. მისივე ინიციატივით ქალთა ჯგუფმა გამოსცა კრებული „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“.

ელენემ ქუთაისში ეკატერინე გაბაშვილთან და ეკატერინე მელიქიშვილთან ერთად დააფუძნა „ქართული ბიბლიოთეკა“. ის აქტიურად ცდილობდა საკუთარი თარგმანებით გაემრავალფეროვნებინა ლიტერატურა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი იყო და სოფლებში უსასყიდლოდ ასწავლიდა ქალებს წერა-კითხვას.

ელენემ დაარსა თბილისის თეატრალური დასი და მისი მუდმივი წევრიც იყო. დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ გალობას და ცდილობდა გალობის ხმები ფირფიტებზე გადაეტანა. ელენე ყიფიანი ცხოვრების ბოლომდე იყო ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე. ზრუნავდა მოსწავლეების სწავლა-განათლებაზე, ეხმარებოდა მათ მატერიალურად, ამარაგებდა მათ სასწავლო ნივთებითა და წიგნებით. თავისი თარგმანებით იგი ახალგაზრდობაში აჩენდა განათლების მიღების სურვილსა და შესაძლებლობას. ახალ თობას აცნობდა როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ლიტერატურას.

ეკატერინე გაბაშვილი

ეკატერინე ადრე დაობლდა. მას ზრდიდა ბებია, რომელიც წინააღმდეგი იყო ქალთა

განათლების და უნდოდა ეკატერინესთვის მხოლოდ წერა–კითხვა და დიასახლისობა ესწავლებინა. მამის დაჟინებული მოთხოვნით ეკატერინემ ცნობილ პანსიონში მიიღო საშუალო განათლება. თუმცა, უსახსრობის გამო საზღვარგარეთ გამგზავრება და უმაღლესი განათლების მიღება ვერ შეძლო.

ეკატერინე არ დანებდა და თვითგანათლება დაიწყო. გაეცნო რუსულ და უცხოურ ლიტერატურას, სოციოლოგიას. 17 წლის ეკატერინე უკვე მასწავლებელი იყო – ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა–კითხვას.

ეკატერინე გაბაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართული ბიბლიოთეკების დაარსებაში, შემდეგ კი გაფართოება-შევსებაში. თანამოაზრეებთან ერთად მან შეაგროვა მრავალფეროვანი ლიტერატურა და ძალიან მოკლე დროში მოახერხა პირველი სამკითხველოს გახსნა. მოგვიანებით ბიბლიოთეკები გახსნეს ქალაქის სხვა უბნებშიც, მაგრამ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ვეღარ გადაიხადა ბინის ქირა და ეკატერინეს ძალისხმევით შეგროვილი წიგნები სახლის პატრონმა ქუჩაში გამოყარა. ეკატერინეს თქმით, ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მოვლენა მის ცხოვრებაში.

ეკატერინემ თავად ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება, ამიტომ მან მთელი ცხოვრება სხვებისთვის განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნას მიუძღვნა. XIX საუკუნის 90-იან წლებში ქალთა ვიწრო წრეში წამოიჭრა პირველი ქართული ქალთა სკოლის დაარსების საკითხი, ეკატერინემ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ინიციატივა განცორციელებულიყო. საბოლოოდ მან თბილისში, თავის სახლში მოაწყო ქალთა ხელსაქმის (ჭრა–კერვის) ხუთწლიანი სკოლა, რომელსაც 15 წელი ხელმძღვანელობდა. სკოლა საქველმოქმედო შეწირულობით არსებობდა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებსაც სთავაზობდა მსმენელებს.

ეკატერინეს ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მე იმ ვიწრო კედლებს შუა, რომელსაც ოჯახის დიასახლისობას უძახიან და რომელიც შთანთქავს ხშირად დედაკაცის სულიერ არსებობას, პატარა ჭუჭრუტანა გავუკეთე და იქიდან მუდამ ყურს ვუგდებდი და თვალს ვადევნებდი ჩემი ქვეყნის საზოგადო ზრდასა და მსვლელობას.“

ნინო კახნიაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის
საჯარო სკოლა

სტატია მსოფლიოს ყველაზე დიდ ქველმოქმედებზე

ტოპ 20 ქველმოქმედი

1. ბილ გეიტსი
$66 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Microsoft
ასაკი: 56
საცხოვრებელი ადგილი: მედინა, ვაშინგტონი

პლანეტის ყველაზე უფრო გულუხვ ადამიანს – ამ დროისათის მას საქველმოქმედო მიზნებისათვის $28 მილიარდი აქვს გაღებული – ახალი მისწრაფება გამოუჩნდა: ააგოს ახალი და უკეთესი საპირფარეშოები მათთვის, ვისაც წყლისა და კანალიზაციის სისტემები არ გააჩნია. ყოველწლიურად ფეკალური მასებით დაბინძურებული საკვებისა და წყლის მიღების გამო მსოფლიოში დაახლოებით 1,5 მილიონი ბავშვი იღუპება, და ეს მაჩვენებელი ბევრად აღემატება შიდსის ვირუსითა და მალარიით გამოწვეული ყოველწლიური სიკვდილიანობის ჯამურ მაჩვენებელს. Bill $ Melinda Gates Foundation-ი ასევე სათავეში უდგას მალარიის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნის პროგრამას. აღსანიშნავია, რომ ვაქცინა კლინიკური კვლევების შედეგების მიხედვით უკვე გარკვეული იმედების საფუძველს იძლევა. გეიტსის პირადი ქონების წმინდა ღირებულება გასული წლის შემდეგ $7 მილიარდით გაიზარდა, რაც ნაწილობრივ კომპანია Microsoft-ის „ძლიერი" აქციებით არის გამოწვეული, რომელთა ღირებულებაც 20%-ით გაიზარდა, ასევე გეიტსის მიერ კერძო კაპიტალში განხორციელებულ ინვესტიციებზე მოგებით , აქციებსა და ობლიგაციებში განხორციელებულ ისეთ ინვესტიციებზე, როგორიც არის ჰიგიენის ტექნოლოგიური ფირმა Ecolab-ი და მექსიკური სატელევიზიო სამაუწყებლო კომპანია Televisa. გეიტსი განაგრძობს კომპანია Microsoft-ის აქციების გაყიდვას – მან გასულ წელს დაახლოებით $80 მილიონის აქციები გაყიდა, რაც კომპანიაში მისი კუთვნილი წილის 15%-ს შეადგენს – ასე რომ, ახლა უკვე მისი ქონების მხოლოდ მეხუთედი ნაწილი ეფუძნება იმ პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელ კომპანიას, რომლის თანადამფუძნებელი ის თავად იყო 37 წლის წინ.გეიტსი და მისი კარგი მეგობარი, უორენ ბაფეტი, აგრძელებენ მათ მიერ ერთობლივად ინიციირებულ საქველმოქმედო ინიციატივა Giving Pledge-ში ახალწვეულების მიღებას – დღესდღეობით ამ ინიციატივის წევრთა საერთო რაოდენობა 91 ადამიანს შეადგენს, მათ შორის 10 ახალწვეული, რომელთაც ოფიციალურად აიღეს ვალდებულება, რომ მათი ქონების, სულ მცირე, ნახევარს მაინც გასცემენ საქველმოქმედო მიზნებისათვის მათსავე სიცოცხლეში ან მათი გარდაცვალების შემდეგ.

2. უორენ ბაფეტი
$46 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Berkshire Hathaway
ასაკი: 82
საცხოვრებელი ადგილი: ომაჰა

ბაფეტმა სულ მცირე ხნის წინ დაასრულა პროსტატის კიბოსათვის სხივური თერაპიის მკურნალობის კურსი, ხუთი თვის შემდეგ, მან აცნობა კომპანია Berkshire Hathaway-ის აქციონერებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, და შეეცადა დაერწმუნებინა ისინი, რომ ეს დაავადება „სრულიადაც არ არის სიცოცხლისათვის სახიფათო". მაგრამ თავისი კომპანია წესრიგში მოიყვანა: დეკემბრის თვეში მან საკუთარი ვაჟიშვილი, ჰოვარდი, რომელიც სოფლის მეურნეობით იყო დაკავებული, აირჩია კომპანიის მომავალ არააღმასრულებელ თავმჯდომარედ და „კომპანიის ფასეულობების მთავარ მცველად". თებერვალში მან განაცხადა, რომ უკვე შერჩეული ჰყავდა კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის შემცვლელი, მაგრამ უარი განაცხადა მისი ვინაობის გამხელაზე. იგი ასევე აფართოებს თავის საქველმოქმედო საქმიანობას. ივლისის თვეში მან Gates Foundations-ს $1,5 მილიარდი გადასცა, რის შედეგადაც მის მიერ გაღებული თანხის ჯამურმა მოცულობამ $17,5 მილიარდი შეადგინა. აგვისტოში, თავის დაბადების დღეზე, მან $3 მილიარდი გადასცა მისი შვილების საქველმოქმედო ფონდებს. გასულ წელთან შედარებით მისი ქონება $7 მილიარდით გაიზარდა ძირითადად იმის გამო, რომ A კლასის აქციების ფასმა მკვეთრად მოიმატა.

3. ლარი ელისონი
$41 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Oracle
ასაკი: 68
საცხოვრებელი ადგილი: ვუდსაიდი, კალიფორნია

მიუხედავად კონკურენტ კომპანიებთან – SAP-ისა, HP-სა და Google-თან – გაჩაღებული სასამართლო ორთაბრძოლისა, კომპანია Oracle-ის აქციები – პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კომპანიისა, რომელსაც ელისონი უკვე 35 წლის განმავლობაში მართავს – გასული წლის განმავლობაში 20%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის Forbes 400-ის მილიარდერთა შორის, ის ყველაზე დიდი მოგებით გამოირჩევა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მან ივნისში $500 მილიონად შეეძინა ჰავაის ლანაის კუნძულის 98% დევიდ მარდოკისაგან (ნომერი 190, Forbes 400-ის სიაში). მისი კიდევ ერთი მისწრაფება საიალქანო სპორტია, და რაც უფრო მეტად ახლოვდება 2013 წლის ამერიკის თასისთვის ბრძოლის თარიღი, იგი მით უფრო ცდილობს ამ მხრივ სან-ფრანცისკოში აღიარების მოპოვებას.

4. ჩარლზ კოხი
$31 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: სხვადასხვა

ასაკი: 76
საცხოვრებელი ადგილი: უიჩიტა, კანზასი

5. დევიდ კოხი
$31 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: სხვადასხვა
ასაკი: 72
საცხოვრებელი ადგილი: ნიუ-იორკ-სიტი

ლიბერტარიანელი ძმები, როგორც ჩანს, აზრთა სხვადასხვაობას იწვევენ. მათ სასამართლოში წამოიწყეს საქმე, რათა მიიღონ კონტროლის უფლება კონსერვატორულ Cato Institute-ზე, რომლის დაარსებაშიც 1977 წელს მათ დიდი წვლილი მიუძღვით; საბოლოოდ მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს. დევიდმა, რომელიც რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ ყრილობაზე ნიუ-იორკის დელეგატი იყო, ზოგი კრიტიკოსი გააოცა, როდესაც მან Politico-ს განუცხადა: „მე მჯერა და მხარს ვუჭერ ჰომოსექსუალ მამაკაცთა ქორწინებას" და ასევე მხარი დაუჭირა გადასახადების განაკვეთების გაზრდას, რათა ამის საშუალებით მოხდეს ფედერალური სასესხო ვალდებულებების დაფარვა. მათი Koch Industries, რომელიც შეერთებულ შტატებში სიდიდით მეორე კერძო მფლობელობაში არსებული კომპანიაა და რომელსაც ინტერესები აქვს ნავთობსადენებში, გადამამუშავებელ საწარმოებში, სასუქების წარმოებასა და ისეთ სამომხმარებლო პროდუქტებში, როგორიც არის Browny-ის ქაღალდის პირსახოცები და Dixie-ის ჭიქები, კვლავ აგრძელებს მძლავრი ფულადი ნაკადების გენერირებას და ახერხებს არსებული სასესხო ვალდებულებების დროულად დაფარვას. ყოველივე ამის შედეგად მსოფლიოში უმდიდრესი ძმების ქონების ჯამურმა მატებამ გასულ წელს $12 მილიარდი შეადგინა. ის, რაც მათ შესახებ ნაკლებად არის ცნობილი, არის მათი საქველმოქმედო საქმიანობა. დევიდი, რომელიც პროსტატის კიბოსაგან განიკურნა, აცხადებს, რომ მისი ყველაზე დიდი შეწირულებები მიმართულია „უაღრესად რთული" კამპანიის დაფინანსებაზე, რომლის მთავარი მიზანიც არის კიბოსაგან განკურნების საშუალებების აღმოჩენა. მას ამ მიმართულებით $200 მილიონი აქვს გაღებული.

6. კრისტი უოლტონი და მისი ოჯახი
$27,9 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Wal-Mart
ასაკი: 57
საცხოვრებელი ადგილი: ჯეკსონი, ვაიომინგი

7. ჯიმ უოლტონი
$26,8 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Wal-Mart
ასაკი: 64
საცხოვრებელი ადგილი: ბენტონვილი, არკანზასი

8. ელის უოლტონი
$26,3 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Wal-Mart
ასაკი: 63
საცხოვრებელი ადგილი: ფორტ-უორტი, ტეხასი

9. რობინსონ უოლტონი
$26,1 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Wal-Mart
ასაკი: 68
საცხოვრებელი ადგილი: ბენტონვილი, არკანზასი

უოლტონების ოჯახის წარმომადგენელთა ქონების ერთობლივი ღირებულება განსაცვიფრებელ თანხას – $107,1 მილიარდს შეადგენს, რაც $20,1 მილიარდით უფრო მეტია, ვიდრე გასულ წელს. მსოფლიოს ყველაზე დიდი საცალო გაყიდვების კომპანიის, Wal-Mart-ის გაყიდვების მაჩვენებელმა $444 მილიარდს მიაღწია, რაც 2010 წლის მაჩვენებელს 5%-ით აღემატება და რის გამოც ბოლო 12 თვის მანძილზე კომპანიის აქციების ფასი 36%-ით გაიზარდა. უოლტონის ოჯახის წევრებმა ასევე გაინაწილეს ძალზე მსუყე $1,5 მილიარდის მოცულობის დივიდენდი. ის, რაც 1962 წელს დაიწყო ერთი Wal-Mart-ის მაღაზიით არკანზასის შტატში, დღეისათვის შეადგენს 10 000 მაღაზიას 27 ქვეყანაში. კომპანია კვლავ აგრძელებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეღწევას, მან მიიღო წილის შეძენის თანხმობა სამხრეთ აფრიკის Massmart-ში გასული წლის მარტში. ქრისტიმ, ამერიკის უმდიდრესმა ქალბატონმა, მისი მკვეხარობის უფლება მცირედიდ დაკარგა, მას შემდეგ, რაც მისი სხვა მნიშვნელოვანი ინვესტიცია, First Solar-მა, წარუმატებლობა განიცადა. მისი უპირატესობა მის მაზლთან, ჯიმთან მიმართებაში, „უმდიდრესი უოლტონის" წოდებისათვის სულ რაღაც $1,1 მილიარდამდე შემცირდა. გასული ხუთი წლის მანძილზე უოლტონებმა ერთობლივად Walton Family Foundation-ისათვის $2 მილიარდი გაიღეს. აღნიშნული ფონდი ძირითადად აქცენტს აკეთებს განათლების სისტემის რეფორმირებაზე, ბუნების დაცვაზე და ასევე ცხოვრების დონესთან დაკავშირებულ ინიციატივებზე მათ მშობლიურ შტატ არკანზასში. ელისმა გახსნა ამბიციური Crystal Bridge Museum of American Art არკანზასის შტატის ქალაქ ბენტონვილში 2011 წლის ნოემბერში.

10. მაიკლ ბლუმბერგი
$25 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Bloomberg LP
ასაკი: 70
საცხოვრებელი ადგილი: ნიუ-იორკ-სიტი

ნიუ-იორკის მერი ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს იმდენ სასიკეთო ცვლილებას, რამდენის მოხდენაც მას შეუძლია მის ახლა უკვე მშობლიურ ქალაქში მისი მერობის საბოლოო ვადის პერიოდში. შეზღუდვა, რომელიც მის მიერ იქნა ინიციირებული დიდი ზომის შაქრის შემცველ გაზიან

სასმელებზე, ძალაში მარტში შედის, და იგი განსაკუთრებული მხარდაჭერით გამოირჩეოდა იმ კანონის მიმართ, რომელიც ითვალისწინებს ქორწინების თანაბარ უფლებებს მის შტატში (Marriage Equality Act). კანონი მიღებულ იქნა 2011წელს. მან ასევე განაახლა იარაღის ტარების საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიღების მხარდაჭერა, განსაკუთრებით იმ ტრაგიკული ინციდენტის შემდეგ, რომელიც კოლორადოს კინოთეატრში მოხდა გასული წლის ივლისში. წლების განმავლობაში მან ქველმოქმედებაზე $2,8 მილიარდი გაიღო. 2011 წელს მან $330 მილიონი ისეთი ჯგუფების მხარდასაჭერად გადარიცხა, როგორიც არის Sierra Club-ი, the Alliance of the Arts-ი და the American Foundation for Suicide Prevention-ი. მისი კომპანიის, Bloomberg LP-ის, მედიისა და ფინანსური მონაცემების კვლევის ფირმის გაყიდვების მოცულობა 2011 წელს 20%-ით გაიზარდა და $7,6 მილიარდი შეადგინა.

11. ჯეფ ბეზოსი
$23,2 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Amazon
ასაკი: 48
საცხოვრებელი ადგილი: სიეტლი

მისი ონლაინ წიგნების რეალიზატორი კომპანია Amazon.com-ი წარმოადგენს მსოფლიოს უდიდეს, ნებისმიერი სახის პროდუქტის ინტერნეტის საცალო რეალიზატორს, რომლის გაყიდვების მოცულობამ 2011 წელს $48 მილიარდი შეადგინა. დღეისათვის კომპანია უფრო მეტი სახის Kindle-ის ტიპის ელექტრონულ წიგნებს ყიდის, ვიდრე ტრადიციულ წიგნებს. მისი ქონების წმინდა ღირებულება $4,.1 მილიარდით გაიზარდა, რაც კომპანია Amazon-ის აქციების ღირებულების 23%-იანი ზრდითაა გამოწვეული. ბეზოსი განაგრძობს ინვესტიციების განხორციელებას იმ ე.წ. „თანმდევი ეფექტის" მქონე პროექტებში, რომლებიც მას როგორც შემოქმედებითსა და თავგადასავლების მოყვარულ პიროვნებას წარმოაჩენს და ამ მხრივ მის ინტერესს აძლიერებს. მარტში მან განაცხადა, რომ მისმა Bezos Expedition-მა ოკეანის ფსკერზე აღმოაჩინა მთვარეზე ისტორიული მოგზაურობის განმახორციელებელი Apollo 11-ის ძრავები. ახლა მისი საექსპედიციო კომპანია შეეცდება, რომ ეს აღმოჩენილი F-1 რაკეტის ძრავები ოკეანის ფსკერიდან ზედაპირზე ამოიტანოს. ბეზოსი და მისი მეუღლე ივლისში გაზეთების სათაურების მთავარი გმირები იყვნენ იმ $2,5 მილიონიანი შემოწირულების გამო, რომელიც მათ გაიღეს Washington United for Marriage-სთვის – ჯგუფისათვის, რომელიც მხარს უჭერს მათ მშობლიურ შტატში ერთსქესიანი წყვილების ქორწინების ლაგალიზაციას.

12. შელდონ ადელსონი
$20,5 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: კაზინოები
ასაკი: 79
საცხოვრებელი ადგილი: ლას-ვეგასი, ნევადა

გიგანტური კაზინოების კორპორაციის Las Vegas Sands-ის მფლობელი მიმდინარე წელს საგაზეთო სათაურებში დომინირებდა. მისი კომპანიის იურისტები დაკავებულნი არიანფედერალურ დონეზე კორუფციის საგამოძიებო საქმით, რომელიც შეეხება მის გარიგებებს მაკაუში, სადაც Las Vegas Sands-ი ოთხ კაზინოს ფლობს, თუმცა ადელსონის კომპანია ყველანაირ ბრალდებას უარყოფს. ამ ამაყმა რესპუბლიკელთა მხარდამჭერმა ნიუტ გინგრიჩის წარუმატებელ საპრეზიდენტო კამპანიას თანხები გადაურიცხა; მას შემდეგ მან $10 მილიონი გაიღო მიტ რომნის სუპერსაპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიისათვის. ადელსონს შეუძლია საკუთარ თავს ყოველივე ამის უფლება მისცეს, თუმცა შესაძლოა ამ წელს ცოტათი მომჭირნეობა მოუწიოს; მისი ქონების წმინდა ღირებულება $1 მილიარდით შემცირდა მას შემდეგ, რაც Las Vegas Sands-ის აქციების ფასი დაეცა კომპანიის წინააღმდეგ ფედერალური გამოძიების გამო და ასევე იმის გამო, რომ აზიელი ე.წ. „ძალიან მნიშვნელოვანი პირების" მხრიდან ჩინეთსა და სინგაპურში კომპანიის მფლობელობაში არსებულ კაზინოებში თანხის ხარჯვა შემცირდა.

13. სერგეი ბრინი
$20,3 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Google
ასაკი: 39
საცხოვრებელი ადგილი: ლოს-ალტოსი, კალიფორნია

13. ლარი პეიჯი
$20,3 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Google
ასაკი: 39
საცხოვრებელი ადგილი: პალო-ალტო, კალიფორნია

სტენფორდის უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის კურსელები აგერ უკვე 14 წელია, კომპანია Google-ს ერთობლივად მართავენ მას შემდეგ, რაც იგი ერთობლივადვე დააარსეს, მაგრამ განსხვავებული გზები აირჩიეს კომპანიის შიგნით. პეიჯმა დაიბრუნა კომპანიის მართვის სადავეები როგორც მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა 18 თვის წინ; მას შემდეგ კომპანია Google-ის აქციების ფასი 15%-ით გაიზარდა. ამან, შესაბამისად, ხელი შეუწყო მათი თითოეული პირადი ქონების ზრდას $3,6 მილიარდით წინა წელთან შედარებით. ივნისში პეიჯი იდუმალი დაავადებით დაავადდა, რის გამოც იგი კომპანია Google-ის აქციონერთა ყოველწლიურ შეკრებასა და კომპანიის ივლისის მოგების განხილვის კონფერენციას ვერ დაესწრო. ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს იგი მას შემდეგ დაუბრუნდა, რაც, გავრცელებული ინფორმაციით, გარკვეული დრო გაატარა კუნძულ ბორა-ბორაზე. ამასობაში კი ბრინი განსაკუთრებულ პროექტებს უძღვებოდა, მათ შორის ხმაურიან Google-ის გაძლიერებული რეალობის სათვალეების პროექტს, რომელიც ივნისში წარუდგინეს ექსტრემალურ (BMX) ველოსიპედისტებს და პარაშუტისტებს. მან და მისმა მეუღლემ, ანე ვოიჯიცკიმ, შეთანხმდნენე, რომ 2012 წელს $50 მილიონამდე შეავსებდნენ Michael J. Fox Foundation-ის მიერ პარკინსონის

დაავადების კვლევის დაფინანსება. დღემდე მათ ამ მიმართულებით $30 მილიონი გაიღეს.

15. ჯორჯ სოროსი
$19 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: ჰეჯირების ფონდები
ასაკი: 82
საცხოვრებელი ადგილი: კატონა, ნიუ-იორკი

სოროსი პენსიაზე 2011 წელს გავიდა, თავისი ჰეჯირების ფონდი საოჯახო ოფისად გადააქცია და გარე ინვესტორებს მხოლოდ დაახლოებით $1 მილიარდი დაუბრუნა. სოროსმა ასევე მოიწვია ახალი ინვესტიციების დირექტორი, რომელმაც ზედამხედველობა უნდა გაუწიოს მისი ოჯახისა და მისი ფონდების კუთვნილ დარჩენილ აქტივებს. სოროსმა, რომელიც ყოველთვის ღიად გამოხატავს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას მსოფლიოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე და დაუღალავი მომხრეა ევროპული ინტეგრაციისა, ცოტა ხნის წინევროს შემოღებას „ძალიან დეფექტური" უწოდა და არსებული მდგომარეობა აღწერა, როგორც „ეგზისტენციალური კრიზისი" ევროპისათვის. 1979 წლიდან მოყოლებული სოროსმა $8,5 მილიარდი გაიღო ადამიანთა უფლებების დაცვის, განათლებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჯგუფებისათვის; $6 მილიარდი გაიღო საერთაშორისო მიზნებისათვის, ხოლო $400 მილიონი კი – სიღარიბის დაძლევისათვის. ერთ-ერთი მისი ბოლო პერიოდის აღნიშვნის ღირსი საჩუქარი: $160 მილიონი ევროპელ ბოშათა უმცირესობის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და $100 მილიონი იმ ბარიერების დასაძლევად, რომელთა წინაშეც დგანან აფრო-ამერიკელი ბიჭები და მამაკაცები. მან განაცხადა თავის მეგობარ გოგონასთან, თამიკო ბოლტონთან, ნიშნობის შესახებ, რომელიც მასზე 42 წლით უმცროსია, მისი 82 დაბადების დღის აღმნიშვნელ დღესასწაულზე აგვისტოში საუტჰემპტონში მდებარე მის სახლში. წყვილი დაქორწინებას მომავალ ზაფხულს გეგმავს.

16. ფორესტ მარს უმცროსი
$17 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: ტკბილეული
ასაკი: 81
საცხოვრებელი ადგილი: ბიგ-ჰორნი, ვაიომინგი

17. ჟაკლინ მარსი
$17 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: ტკბილეულიასაკი: 72
საცხოვრებელი ადგილი: პლეინსი, ვირჯინია

18. ჯონ მარსი
$17 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: ტკბილეული

ასაკი: 76
საცხოვრებელი ადგილი: ბიგ-ჰორნი, ვაიომინგი

დედმამიშვილების საკუთრება გახლავთ $33 მილიარდის ღირებულების კომპანია Mars-ი (გაყიდვების მიახლოებითი მაჩვენებელი), რომელიც მსოფლიოში ტკბილეულის მწარმოებელი უდიდესი კომპანიაა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2008 წელს საღეჭი რეზინის მწარმოებელი Wrigley's $23 მილიარდად შეიძინა. კომპანია იმდენადვე იდუმალებით არის მოცული, რამდენადაც დომინანტურია ტბილეულის მსოფლიო ბაზარზე. იგი კერძო საკუთრებაში არსებული საოჯახო კომპანიაა, რომლის თანამშრომელთა რაოდენობა 70 000 შეადგენს და რომელიც საქმიანობას 73 ქვეყანაში აწარმოებს. კომპანიის დირექტორთა საბჭო მხოლოდ მარსის ოჯახის წევრებისაგან შედგება, რომელთაგან არც ერთის შესახებ კომპანიის ვებგვერდზე ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. აღნიშნული ტრიოს ბაბუამ, ფრენკ მარსმა, შოკოლადის წარმოება 1911 წელს ვაშინგტონის შტატში, ქ. ტაკომაში მდებარე საკუთარ სამზარეულოში დაიწყო. მათი მამა, ფორესტ უფროსი, კომპანიას 1929 წელს შეუერთდა, დაახლოებით იმ დროს, როდესაც კომპანიამ გამოიგონა ალაოს ექსტრაქტის არომატის ნუგა, რომელიც გახდა კიდევაც საფუძველი შოკოლადის ისეთი ბრენდებისა, როგორიც არის Milky Way-ი და Snickers-ი. ამ უკანასკნელს სახელწოდება, სავარაუდოდ, ოჯახის საყვარელი ცხენის სახელის შესაბამისად ეწოდა. მოგვიანებით კომპანიამგამოიგონა M&M-ი, რომლის 400 მილიონის წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველდღიურად ხდება. კომპანია ასევე აწარმოებს Uncle Ben's-ის ბრენდის ბრინჯს და ფლობს შინაური ცხოველების საკვების ბრენდებს – Pedigree-სა და Whiskas-ს.

19. სტივ ბალმერი
$15,9 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Microsoft
ასაკი: 56
საცხოვრებელი ადგილი: ჰანტს- პოინტი, ვაშინგტონი

2000 წლიდან კომპანია Microsoft-ის მთავარი აღმასრულებელი დირეტორი და რიგით 30-ე თანამშრომელი, დიდად არის მოწადინებული დაუმტკიცოს ყველას, რომ მსოფლიოს უდიდესი პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელ ფირმას შეუძლია ფეხი აუწყოს მის უფრო მოქნილ, ახალგაზრდა კონკურენტებს. ბოლო თვეების განმავლობაში კომპანიამ ახალი პროდუქტების პრეზენტაცია მოახდინა, კერძოდ: კომპიუტერისა და მობილურის ოპერაციული სისტემა Windows 8-ისა და ახალი პლანშეტური კომპიუტერისSurface-ის, რომელმაც მეტოქეობა უნდა გაუწიოს iPad-ს და ასევე მოძველებული Hotmail-ი Outlook-ის თანამედროვე ვერსიით ჩაანაცვლა. ბელმერმა მისი დამსახურების ნაყოფიც მიიღო: ივლისში კომპანიამ ჩამოწერა 2007 წელს მის $6,3 მილიარდად შეძენილი ონლაინ-მარკეტინგისა და გაყიდვების კომპანია aQuantive-ის 98%-ი. ინვესტორები წახალისებულნი არიან; Microsoft-ის აქციების ფასმა ბოლო წლის მანძილზე 25%-ით იმატა და ბელმერის პირადი ქონებაც $2 მილიარდით გაიზარდა. ნუ თუ ეს ყველაფერი მისი „გედის სიმღერის" ნაწილია? ბელმერმა

იანვარში გრანდიოზულ სამომხმარებლო ელექტრონიკის სავაჭრო შოუზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ეს მისი ბოლო გამოსვლა იქნებოდა როგორც კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორისა. Big hoops-ის გულშემატკივარი ბელმერი ინვესტორთა ჯგუფის წევრია, რომლებიც ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის გუნდის ისევ სიეტლში დაბრუნებას ცდილობენ – გუნდისა, რომელმაც SuperSonics-ი თავის დროზე ოკლაჰომა-სიტის დაუთმო.

20. პოლ ალენი
$15 მილიარდი
სიმდიდრის წყარო: Microsoft
ასაკი: 59
საცხოვრებელი ადგილი: მერსერ-აილენდი, ვაშინგტონი

კომპანია Microsoft-ის თანადამფუძნებელი ბოლო პერიოდში მნიშვნელოვან აღმასვლას განიცდის. იზრდება არა მხოლოდ პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელი კომპანიის აქციების ფასი, არამედ ასევე მისთვის უკვე გარკვეული შემოსავალი მოაქვს მის მიერ Charter Communications-ში განხორციელებულ თავის დროზე უიღბლო ინვესტიციას. აღნიშნულმა ფირმამ 2009 წელს გაკოტრებულად თავის გამოცხადების შესახებ საქმის წარმოებაც კი დაიწყო. მისი მრავალწლიანი მცდელობა, რომ აღედგინა სიეტლის ცენტრში განლაგებული უბანი South Lake Union-ი , უკვე წარმატებულ დასასრულს აღწევს: იზრდება მდიდრულ გასაქირავებელ ფართებზე ფასი და მოთხოვნა. ამ უბანში გადმოდიან ისეთი კომპანიები, როგორიც არის, მაგალითად, Amazon.com-ი. ახლა უკვე, როგორც ალანი ამბობს, მას სურს გაყიდოს ეს შენობები, რათა უკვე ახალი დეველოპერული პროექტებით დაკავდეს. იგი იმ იშვიათი მილიარდერების რიცხვს განეკუთვნება, რომლებშიც გაერთიანებულია სპორტისა და მეცნიერების სიყვარული. მის საკუთრებას წარმოადგენს პროფესიონალ ფეხბურთელთა გუნდი Seattle Seahawks-ი და პროფესიონალ კალათბურთელთა გუნდი Portland Trailblazers-ი. მან $500 მილიონიანი შემოწირულება გაიღო მისი ტვინის კვლევის ინსტიტუტისთვის. მან „გაასესხა" მისი კუთვნილი 414 ფუტის სიგრძის იახტა, Octopus-ი, და ასევე მისი ღრმა წყლების, დისტანციურად მართვადი საწყალოსნო ხომალდი, იშვიათი სახეობის თევზი ცელეკანტის პოპულაციების შესასწავლად და ფსკერიდან სამხედრო ხომალდ H.M.S. Hood-ის ზარის ამოსაღებად, რომელიც 1941 წელს ნაცისტებმა ჩაძირეს.

ჯგუფური სამუშაო

I ჯგუფი - შექმენი **კედლის გაზეთი,** რომელშიც განათავსებ ინფორმაციას მსოფლიოს 20 ყველაზე დიდ ქველმოქმედებზე.

II ჯგუფი - შექმენი **კედლის გაზეთი,** რომელშიც განათავსებ ინფორმაციას ქართველი ქველმოქმედი ქალების შესახებ.

ნინო კახნიაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლა

ვაჟა-ფშაველა - კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო - მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით", „მეფე ლირით" ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით" და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? - არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...
მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის,

ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად

ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? - იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპილიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო

არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ.

ინდივიდუალური სამუშაო

შექმენი ესსე, რომელშიც წარმოაჩენ:

- ვაჟას აზრით რა აქცევს ადამიანს ყველაზე დიდ მსოფლიო გმირად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ქველმოქმედება?
- როგორ შეიძლება გამოვიყენოთ საკუთარი რესურსები ჩვენი ოჯახის, თემის სასარგებლოდ? სხვის დასახმარებლად?
- რის შესაძლებლობებს გვაძლევს დანაზოგი?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დაზოგვა ჩვენი და ჩვენი გარშემომყოფების კეთილდღეობისთვის?
- თქვენც ხომ არ გქონიათ ოდესმე იდეა, რომლის განხორციელებაზეც ამ დრომდე არ გიფიქრიათ?
- რატომ არ გიფიქრიათ მის განხორციელებაზე? წარუმატებლობის შიში ხომ არ ყოფილა მიზეზი?
- როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება დაგეხმაროთ სამომავლოდ მის განხორციელებაში?
- როგორ ფიქრობთ, როგორ/რით დაეხმარებით, რა სარგებელს მოგიტანთ თქვენი იდეის განხორციელება თქვენ, თქვენს ოჯახის წევრებს, გარშემომყოფებსა და მთლიანად საზოგადოებას?

ფილმი ქველმოქმედებაზე: შინდლერის სია

ქვიზი:

რა არის დაზოგვა?

_____
_____
_____

თუკი დაგიზოგავთ რისთვის/რა მიზნით?

_____
_____
_____
_____

გამოიყენეთ თუ არა დანაზოგი დასახული მიზნის მისაღწევად/განსახორციელებლად?

_____

რისი შესაძლებლობა მოგცათ დაზოგილმა თანხებმა?

_____
_____

თუკი არასოდეს დაგიზოგავთ თანხა, რატომ?

_____
_____

გაიხსენეთ შემთხვევა, როდესაც თქვენ, თქვენი მეგობარი ან ოჯახი გარკვეული გაუთვალისწინებელი ხარჯების წინაშე დადექით. რამდენად მზად აღმოჩნდით ფინანსურად ამ კონკრეტული ხარჯის დასაფარად?

_____
_____
_____
_____

თუკი მზად აღმოჩნდით, რამ განაპირობა თქვენი მზადყოფნა?

_____
_____
_____

თუკი არ აღმოჩნდით მზად, რითი დასრულდა ეს შემთხვევა?

_____
_____
_____

როგორ ფიქრობთ, დანაზოგის არსებობა რამდენად დაგეხმარებოდათ თქვენ მიერ დასახელებული გაუთვალისწინებელი ხარჯის/ხარჯების ეფექტურად დასაფარად?

_____

_____

_____

_____

აქტივობა „დაფიქრდი დაწყვილდი გააზიარე"

აქტივობის აღწერა: მოსწავლე პირველ ეტაპზე თავად იფიქრებს პასუხებს და წერს შესაბამის გრაფაში, მეორე ეტაპზე მოსწავლე უწყვილდება გვერდით მჯდომს და მის პასუხს ინიშნავს შესაბამის გრაფაში. შემდეგ დაახლოებით 1-3 წუთის განმავლობაში მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ იდეებს. საუბრის დროს შეიძლება დაებადოთ ახალი იდეები და პასუხებს ინიშნავენ შესაბამის გრაფაში. მას შემდეგ, რაც წყვილები ერთმანეთის პასუხს მოისმენენ (რასაც 3 წუთზე მეტი დრო არ უნდა დაეთმოს), თავიანთ აზრს კლასს უზიარებენ.

სამუშაო ფურცელი

კითხვა	რა საფრთხეების თავიდან აცილებას შევძლებთ, თუკი ფინანსურ გადაწყვეტილებებს რეკლამის, თანატოლებისა თუ სხვა გარე ფაქტორების გავლენების გარეშე მივიღებთ?
მე რა ვიფიქრე	
მეწყვილემ რა იფიქრა	
რა გავუზიარეთ ერთმანეთს	

სამუშაო ფურცელი

კითხვა	რა საფრთხეების თავიდან აცილებას შევძლებთ, თუკი დანაზოგის სახით გარკვეული თანხა სულ გვექნება გადანახული?
მე რა ვიფიქრე	
მეწყვილემ რა იფიქრა	
რა გავუზიარეთ ერთმანეთს	

საერთო-საკლასო სამუშაო

სადისკუსიო შეკითხვები:

- როგორ ფიქრობთ, რა მიზნით შესაძლოა აგროვებდნენ ადამიანები დანაზოგს?
- რა დანიშნულებით შეგვიძლია დანაზოგების გამოყენება? მხოლოდ გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის თუ ის გარკვეული პირადი მოხმარებისთვის ან სამომავლოდ გარკვეული მიზნების - მაგალითად, მცირე ბიზნესის დაწყება, უმაღლესი განათლების მიღება და ა.შ. მიღწევისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ?
- რა მნიშვნელობა აქვს მათ წამოწყებულ ბიზნესებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისთვის?

- რა მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ყველაზე დიდი ქველმოქმედი ადამიანების შემოწირულობებს მსოფლიოს მოსახლეობისთვის?

ინდივიდუალური სამუშაო

დისკუსიის შესაჯამებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ PRES "-ის მეთოდით



მეგობარო, ახლა კი მზად ხარ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის - ბუკლეტის მომზადებისა და მისი პრეზენტაციისათვის.

გისურვებ წარმატებებს!

I I კომპლექსური დავალება

თემა: სამშვიდობო პროცესები

საკითხი: საქართველო სამშვიდობო და ჰუმანიტარულ მისიებში

სამიზნე ცნება: სამოქალაქო მონაწილეობა

კომპლექსური დავალების პირობა:

შეიმუშვე კითხვარი, რითაც დაადგენ რა ინფორმაციას ფლობს სასკოლო საზოგადოება „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის“ შესახებ, მიღებული ინფორმაციისა და საკითხის შესწავლის შემდეგ გააანალიზე საერთაშორისო ორგანიზაციების როლი ადამიანის უფლებისა თუ ჰუმანიტარული სამართლის მიმართულებით. შეარჩიე შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი და შეიმუშავე საზოგადოების ინფორმირებაზე ორიენტირებული პროექტის სამოქმედო გეგმა.

ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რამდენად ითვალისწინებს სამოქმედო გეგმა საკითხთან დაკავშირებულ საზოგადოების ინტერესებსა და მომავლის პერსპექტივას?
- რა რესურსებით, კონკრეტული აქტივობებითა და რა დროში აპირებთ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას?
- რამდენად შეესაბამება კონკრეტული აქტივობები ზნეობრივ/ საკანონმდებლო ნორმებს და როგორ უკავშირდება შესწავლილი საკითხის ეროვნულ დონეზე გააზრება მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების მიღწევას?

ეს საინტერესოა!

პროექტი - პროექტი არის აზრი, იდეა, განზრახვა ან რაიმეს გაკეთების მიზანი. ზოგადი გზით, პროექტი არის გეგმა, რომელიც შემუშავებულია რაიმეს გასაკეთებლად.

პროექტის გეგმა:

თავფურცელი- პროექტის სახელწოდება, ვადები, ორგანიზაცია და სხვა დეტალები აქ იწერება. ძალიან მოკლედ, მხოლოდ ძირითადი ინფორმაცია. ხშირად, საგრანტო კონკურსებს საკუთარი განაცხადის ფორმები აქვთ.

პროექტის აღწერა:- პრობლემა. საჭიროა პრობლემის ანალიზის ჩატარება. უნდა განსაზღვროთ, თუ რა პრობლემა ან პრობლემები გაქვთ, რისი გადაჭრაც გსურთ.

მიზანი - რისი მიღწევაც გსურთ

ამოცანები და აქტივობები - გადაჭრის გზები, რომლითაც მიზნის მიღწევას გეგმავთ.

მონაწილეები და ბენეფიციარები. ბენეფიციარები - ვინ იქნება მონაწილეები და ვინ მიიღებს სარგებელს

ბიუჯეტი

ბიუჯეტს, როგორც წესი, ცხრილის საზე აქვს. ზუსტად აქ უნდა აღწეროთ ყველა ხარჯი, რომელიც პროექტისთვის არის საჭირო. აუცილებელია, მიუთითოთ ადეკვატური ფასი და დაფინანსების წყარო.

მოსალოდნელი შედეგები და რისკები. დაწერეთ მიახლოებით, თუ რას მოელით. რა შეიცვლება უკეთესობისკენ?

მონიტორინგი და შეფასება, ანუ ინდიკატორი

თუკი გსურთ, პროექტმა წარმატებას მიაღწიოს, უნდა იცოდეთ, როგორ გაზომოთ მისი გავლენა.

პოსტერი არის პოლიგრაფიული (მრავალწერა) პროდუქტია, რომელიც გამოიყენება პროდუქციის რეკლამირებისთვის და შეიცავს როგორც ტექსტურ, ასევე გრაფიკულ გამოსახულებას. პოსტერების ზომას კედლის ზომის შესაბამისად არჩევენ. შეიძლება იყოს ვერტიკალური ან ჰორიზონტალური ფორმატი.

პრეზენტაცია არის რაიმე საკითხის საჯარო წარდგენა აუდიტორიის წინაშე. მისი მიზანია, გავაცნოთ საკუთარი საქმიანობა ადამიანების გარკვეულ წრეს. მასწავლებელს ხშირად უხდება პრეზენტაციის ჩატარება სხვადასხვა აუდიტორიის – მოსწავლეებისა თუ მათი მშობლების, კოლეგებისა თუ სკოლის ხელმძღვანელობის – წინაშე.

სლოგანი— სარეკლამო ხელოვნების ერთ-ერთი სახეა და კომპანიის ძირითადი "დაპირების" გამოხატულებაა. სწორად შერჩევის შემთხვევაში, ის , ხშირად, ხალხში " მოარულ ფრაზად" იქცევა ხოლმე. ის არა მხოლოდ ყიდის პროდუქტს, არამედ ქმნის კომპანიის იმიჯს მომხმარებლის გონებაში.სლოგანი ხდება ყველა დროის კულტურის ნაწილი.

კარგი სლოგანი რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს :

- სპეციფიკური, დასამახსოვრებელი;
- სტრატეგიის შესაბამისი;
- მესიჯი უნდა იყოს სამიზნე ჯგუფის გემოვნებაზე ორიენტირებული;

- გამორჩეული – კრეატიული. (უნდა იყოს ყურადღების მისაქცევი);
- უნდა იყოს ლაკონური.

ეს რესურსი ძირითადად არის სლოგანის მნიშვნელობაზე მარკეტოლოგიაში.მოსწავლე ჩვენ შემთხვევაში ქმნის საინფორმაციო მასალას მდგრადი განვითარების შინაარსით და მისი მიზანი უნდა იყოს ისეთი სლოგანის მოფიქრება, რომელიც დააფიქრებს ადამიანებს ბუნებრივ მემკვიდრეობაზე მდგრადი განვითარების გზით ზრუნვის უპირატესობაზე.

- პრობლემის იდენტიფიცირების და პოზიტიური სლოგანის მაგალითი ლექსის ფორმაში: ხალხური სლოგანი: ტყე შუნახე შვილებსა, მამა ხარ, შენი ვალია!

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები

ნაწყვეტი ფილმიდან შინდლერის სია (65) ნაწყვეტი ფილმიდან - SCHINDLER'S LIST . – YouTube

ნაწყვეტები ანა ფრანკი დღიურიდან, 1942 წლის 9 ოქტომბერი, 19 ნოემბერი (გვ. 32); 1944 წლის 25 მაისისა და 15 ივლისის ჩანაწერები.

ჰოლოკოსტი - გენოციდი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა - YouTube

ინდივიდუალური სამუშაო

შექმენი ესსე, რომელშიც წარმოაჩენ:

- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა შეიარაღებული კონფლიქტების დროს?
- როგორ და ვინ უნდა დაიცვას სიცოცხლე, როგორც უმთავრესი ღირებულება ომისა და მშვიდობის პირობებში?
- რა შედეგები მოჰყვება ომს და მიგრაციას ინდივიდებისთვის, ოჯახებისთვის, ქვეყნისთვის?
- რა მსგავსება და განსხვავებაა სხვადასხვა ექპოქაში მომხდარ შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით?

სამოქალაქო მოსახლეობა ომის დროს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

“მიუხედავად იმისა, რომ ყველა ლტოლვილის ისტორია განსხვავებულია და მათი ტკივილები პერსონალური, ისინი ერთად არიან მონაწილენი უჩვეულო მამაცობის საერთო იდეის - მამაცობის, არა მხოლოდ გადარჩენისათვის, არამედ ნამსხვრევებად ქცეული საკუთარი ცხოვრების აღსადგენად ბრძოლაში”.

ანტონიო გუტიერესი,

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი 2005-2015 წლებში,

გაეროს მოქმედი გენერალური მდივანი

სამოქალაქო მოსახლეობა ომის დროს, დევნილი და ლტოლვილი

მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებული სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ძალისხმევაა მიმართული ომის და მისი საშინელი შედეგების თავიდან ასაცილებლად, ეს სამწუხაროდ ყოველთვის ვერ ხერხდება. სამხედრო მოქმედებებისგან საფრთხე ექმნება ადამიანების სიცოცხლეს, ცხოვრების წესს, საკუთრებას. ამ დროს მოსახლეობა ხშირად იძულებელია დატოვოს საცხოვრებელი ადგილი და დევნილად ან ლტოლვილად იქცეს.

ხშირად სიტყვებს დევნილი და ლტოლვილი ერთმანეთის სინონიმად იყენებენ, რაც არ არის მართებული.

ლტოლვილი ეწოდება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია

ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

საქართველოს კანონმდებლობით დევნილად (იძულებით გადაადგილებულ პირად) ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

1951 წლის 28 ივლისს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, 1950 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის საფუძველზე, მიიღო „კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. აღნიშნულ კონვენციას საქართველო 1999 წლის 28 მაისს შეურთდა. კონვენციის თანახმად ყველა ლტოლვილი ვალდებულია დაემორჩილოს ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობას და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მიღებულ ზომებს. ამავდროულად ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ კონვენციის დებულებებს გამოიყენებენ ლტოლვილთა მიმართ რასის, რელიგიის თუ წარმოშობის ქვეყნის ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე. მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ლტოლვილებს თავისი რელიგიის აღმსარებლობის თავისუფლებისა და ბავშვების რელიგიური აღზრდის თავისუფლების თვალსაზრისით, სულ ცოტა, ისეთსავე კეთილსასურველ გარემოს შეუქმნიან, როგორც საკუთარ მოქალაქეებს.

გაეროს გენერალური ასამბლეის სესიამ 1949 წელს დაადგინა, რომ 1951 წლის პირველი იანვრიდან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), უნდა ამოქმედებულიყო. 1950 წლის 14 დეკემბერის გაეროს ასამბლიაზე მიიღეს აღნიშნული კომისარიატის წესდება, ამიტომ ხშირად სწორედ ამ დღეს მიიჩნევენ კომისარიატის შექმნის დღედ. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის შტაბ-ბინა ჟენევაში მდებარეობს, ხოლო მისი წარმომადგენლობები გახსნილია მსოფლიოს ბევრ ქალაქსა და კონფლიქტურ რეგიონებში, მათ შორის საქართველოში.

ომი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

საბრძოლო მოქმედებებისას ომის მსხვერპლების, მათ შორის სამხედრო ტყვეების, დაჭრილების, სამოქალაქო მოსახლეობის, დაღუპულების დასაცავად მოქმედებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი.

საბრძოლო მოქმედებებისას სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ნორმები მოცემულია ჟენევის 1949 წლის მე-4 კონვენციაში „ომის დროს სამოქალაქო

მოსახლეობის დაცვის შესახებ“ და 1977 წლის დამატებით ოქმებში „საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“ „არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, კონფლიქტის მონაწილე მხარის სამოქალაქო მოსახლეობის და სამოქალაქო ობიექტების პატივისცემისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა ყოველთვის უნდა განასხვავონ სამოქალაქო მოსახლეობა და კომბატანტები, სამოქალაქო და სამხედრო ობიექტები და, შესაბამისად, თავიანთი მოქმედება წარმართონ მხოლოდ სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ.

კონვენციის თანახმად კონფლიქტის მონაწილე ყოველ მხარეს, უშუალოდ ან ნეიტრალური სახელმწიფოს ან ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეშვეობით, შეუძლია მიმართოს მოწინააღმეგე მხარეს წინადადებით, რათა საომარი მოქმედებების რაიონებში შეიქმნას ნეიტრალური ზონები, საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით საფრთხეთაგან ავადმყოფი და დაჭრილი კომბატანტების, ასევე არა კომბატანტების, სამოქალაქო მოსახლეობის, რომელიც არ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში და ამ ზონებში ყოფნის დროს არ ასრულებს სამხედრო სახის რაიმე სამუშაოს დასაცავად.

ომის დროს აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის დამშევის, როგორც ომის წარმოების მეთოდის, გამოყენება. აკრძალულია სამოქალაქო მოსახლეობის საარსებოდ აუცილებელი ობიექტების საკვების მარაგის, სურსათის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო რაიონების, ნათესების, საქონლის, სასმელი წყლის მოსამარაგებელი ნაგებობების განადგურება, გატანა, წყობრიდან გამოყვანა.

სამხედრო მოქმედებების გარდა, სამოქალაქო მოსახლეობას საფრთხეს შეიძლება უქმნიდეს მოწინააღმდეგის ძალაუფლების ქვეშ მოქცევა, რაც, როგორც წესი, მის ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის ყოფნით არის განპირობებული. სამოქალაქო მოსახლეობის შევიწროება, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით ასევე იკრძალება.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იცავს ომის მსხვერპლის სიცოცხლესა და ღირსებას. დაცვის ქვეშ მყოფ პირებს ნებისმიერ გარემოებაში აქვთ უფლება, მოითხოვონ მათი პიროვნების, ღირსების, ოჯახური უფლებების, რელიგიური მრწამსისა და წესების, ჩვევებისა და ადათების პატივისცემა, მათ ყოველთვის ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ, იცავდნენ ძალადობისა და მუქარის ნებისმიერი აქტის, შეურაცხყოფისა და ხალხის ცნობისმოყვარეობისაგან.

დაუშვებელია დაცვის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ ფიზიკური ან მორალური იძულების რაიმე ზომის გამოყენება მათგან ან მესამე პირებისგან ინფორმაციის მიღების მიზნით.

ასევე აკრძალულია დაცვის ქვეშ მყოფი პირების ნებისმიერი მოტივით განპირობებული ინდივიდუალური ან მასობრივი იძულებითი გადაადგილება ან

დეპორტირება ოკუპირებული ქვეყნებიდან ოკუპანტი სახელმწიფოს ან ნებისმიერი სხვა ოკუპირებული თუ არაოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევაზე პასუხისმგებელია, როგორც ბრძანების გამცემი ისე მისი აღმსრულებელი.

საერთო-საკლასო სამუშაო

შეავსე ვენის დიაგრამა რა მსგავსება-განსხვავებაა ლტოლვილსა და დევნილს შორის?



ფილმები: „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“ და „შინდისი”

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 107-108.
მნიშვნელოვანი საკითხი: **ჰუმანიტარული სამართალი**

ინდივიდუალური სამუშაო

აქტივობა 2. გვ.109

ჰუმანიტარული სამართალი - დანართი 1

ანიმაცია ომის წესები https://www.youtube.com/watch?v=HwpzzAefx9M

ინდივიდუალური სამუშაო

შექმენი პოსტერი, რომელშიც წარმოაჩენ:

- რა არის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?
- ვის იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?
- რა როლი აქვს საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შეიარაღებული კონფლიქტების დროს?
- რა შემთხვევაში მოქმედებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი?
- რამდენად უზრუნველყოფს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მშვიდობიანი მოსახლეობის (მათ შორის, ქალების და ბავშვების) დაცვას?

დისკუსია

სადისკუსიო კითხვები:

- როგორ იცავს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი საქართველოს მოსახლეობას?
- რატომ უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრი ინფორმირებული ჰუმანიტარული სამართლის შესახებ?

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 96.
მნიშვნელოვანი საკითხი: **ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია**

ჯგუფური სამუშაო

უნივერსალური ადამიანის უფლებების ლოგოს (გვ.96) შექმენი პოსტერი, რომელსაც შეურჩევ შესაფერის სლოგანს.

საერთო-საკლასო სამუშაო

დებატები რეზოლუციით: ,,სახელმწიფო პასუხისმგებელია თუნდაც ერთი მოქალაქის უფლებების დარღვევაზე. (გვ.96).

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 106.
მნიშვნელოვანი საკითხი: **გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები**

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 100-102.
მნიშვნელოვანი საკითხი: **ლტოლვილის სტატუსი.**

ინდივიდუალური სამუშაო
აქტივობა 4. გვ. 102

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 111.
მნიშვნელოვანი საკითხი: **გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი**

მდგრადი განვითარების მიზნები - მასწავლებლის პრეზენტაცია

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 114.
მნიშვნელოვანი საკითხი: **წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების საერთაშორისო ფედერაცია**

ინდივიდუალური სამუშაო
აქტივობა 2. გვ. 115

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 115.
მნიშვნელოვანი საკითხი: **ქართველი მშვიდობისმყოფელის დღე**

საერთო-საკლასო სამუშაო

დისკუსია

აქტივობა 3. გვ.117

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 117-118.
მნიშვნელოვანი საკითხი: **პულიცერის პრემია**

საერთო-საკლასო სამუშაო

რესურსის გაცნობის შემდეგ შექმენი კედლის გაზეთი სახელწოდებით ,,პულიცერის პრემია''.

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 122-125.
მნიშვნელოვანი საკითხი: **საერთაშორისო ორგანიზაციები.**

ინდივიდუალური სამუშაო

აქტივობა2. გვ.125

მდგრადი განვითარება და მისის ასპექტები მდგრადი განვითარება და მისი ასპექტები

საუკუნეების მანძილზე ადამიანი საკუთარ თავს სამყაროს ცენტრად განიხილავდა და მიაჩნდა, რომ ყველა ცოცხალი არსება თუ ბუნებრივი რესურსი კაცობრიობის საკეთილდღეოდ არსებობდა და მათი გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლებოდა. ასეთმა მიდგომამ ძალიან დააზარალა გარემო, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მე-19 საუკუნიდან - ინდუსტრიალიზაციის ეპოქის შემდგომ.

კლიმატური ცვლილებები, ჰაერის დაბინძურების საგანგაშო დონე, რესურსების ამოწურვის საფრთხე - ეს ის პრობლემებია, რომელთა გამოც თანამედროვე მსოფლიომ გადაწყვიტა, გადახედოს განვითარების კლასიკურ გეგმას და იზრუნოს ხვალინდელ დღეზე, მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. სწორედ ეს არის მდგრადი განვითარება, "რომელიც პასუხობს დღევანდელ

მოთხოვნილებებს იმგვარად, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.”

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი.

ეკოლოგიური ასპექტი

ბუნებრივი რესურსები ამოწურვადია. დღესდღეობით, კაცობრიობის ტექნოლოგიური პროგრესის პარალელურად, ცხოველების და მცენარეების ბევრი ჯიში განადგურების საფრთხის წინაშე დგას, ვინაიდან ადამიანის საქმიანობამ მათ მოუსპო განვითარების ბუნებრივი არეალი. იმავე მიზეზით დაბინძურებულია ჰაერი და წყალი. ეს ყველაფერი დღეს უკვე ჯანმრთელობისთვის საშიშია, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ ადამიანმა ისევ ძველებურად გააგრძელა საქმიანობა, ეს ნიშნავს, რომ დედამიწაზე სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება და თავად კაცობრიობაც გადაშენების საფრთხის ქვეშ დადგება. საბედნიეროდ, ეს პროცესი ჯერჯერობით არ არის შეუქცევადი, თუმცა მდგომარეობის გამოსწორებისთვის ყველა ჩვენგანის ძალისხმევაა საჭირო.

რა შეიძლება გავაკეთოთ იმისთვის, რომ აღმოვფხვრათ ის ზიანი, რაც კაცობრიობამ, ბოლო ორი ასეული წლის მანძილზე, გარემოს მიაყენა?

პირველ რიგში, უნდა შევინარჩუნოთ ბიომრავალფეროვნება, რაც გულისხმობს, რომ განადგურებისგან უნდა დავიცვათ ცხოველების და მცენარეების ყველა სახეობა, განსაკუთრებით კი მოვუფრთხილდეთ გადაშენების პირას მყოფ მცენარეებს და ცხოველებს.

მოვუფრთხილდეთ ბუნებრივ რესურსებს - ფუჭად არ დავხარჯოთ ელექტროენერგია, წყალი, გადასამუშავებლად ჩავაბაროთ ქაღალდი, პლასტმასი, შუშა და ა.შ.

შევამციროთ ჰაერის დაბინძურება - მხარი დავუჭიროთ ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყაროების (წყლის, ქარის, მზის ენერგია, ბიოსაწვავი) განვითარებას და გამოყენებას, ნაკლებად ვისარგებლოთ ავტომობილით, უპირატესობა მივანიჭოთ ადგილობრივ პროდუქციას (რომელიც ხანგრძლივ ტრანსპორტირებას არ საჭიროებს და შესაბამისად, მათი მომხმარებლამდე მიტანა ნაკლებად აბინძურებს გარემოს).

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას

აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით.

2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის და აღდგენის მიზნით საქართველოში მოქმედებს "საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ" კანონი, რომლის მიზანია, "უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მდგრადობა და მათი მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა."

1996 წელს საქართველომ მიიღო კანონი "გარემოს დაცვის შესახებ", რომლის მიზნებს შორისაა, "დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში", ასევე, ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, მასში გაერთიანებული სააგენტოებით, შექმნილია, რათა იზრუნოს საქართველოში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებაზე. 2005 წელს სამინისტროში შეიქმნა გარემოს დაცვის ინსპექცია, რომლის ამოცანაა გამოავლინოს და აღმოფხვრას დარღვევები გარემოს დაცვის სფეროში, ასევე, გაატაროს ღონისძიებები ამგვარი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით.

სოციალური ასპექტი

მდგრადი განვითარების სოციალური ასპექტი მოიცავს სამართლიანობისა და კეთილდღეობის იდეებზე დაფუძნებულ საზოგადოებას, რომლის წევრებსაც, მათი მატერიალური შესაძლებლობების მიუხედავად, ხელი მიუწვდებათ აუცილებელ საჭიროებებზე, როგორებიცაა საკვები, საცხოვრისი, ჯანდაცვა, განათლება, სამუშაო, ადამიანის უფლებები, საკუთრების უფლება და ა.შ.

მდგრადი სოციალური განვითარება, პირველ რიგში, გულისხმობს ყველანაირი დისკრიმინაციის აღმოფხვრას და საზოგადოების მოწყვლადი წევრების - შშმ პირები, ქალები, უმცირესობები - სოციალური უფლებების დაცვას. ამისთვის აუცილებელია ადეკვატური სოციალური პოლიტიკის შემუშავება, დასაქმებასა და უთანასწორობის აღმოფხვრაზე ორიენტირებული სისტემის შექმნა.

სამოქალაქო სოლიდარობის ხელშეწყობა, რომელიც აქტიური მოქალაქეობის თვალსაზრისით უკვე განვიხილეთ, ასევე მდგრადი სოციალური განვითარების ერთ-ერთი კომპონენტია.

ეკონომიკური ასპექტი

მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტი პირდაპირ კავშირშია როგორც ეკოლოგიასა და გარემოს დაცვასთან, ისე სოციალურ სოლიდარობასთან. მდგრადი განვითარება არ ნიშნავს, რომ ადამიანი უარს ამბობს იმ სიკეთეებზე, რომლებიც მას ტექნოლოგიურმა თუ ინდუსტრიულმა პროგრესმა მიანიჭა. ის მხოლოდ ცდილობს, ეკონომიკური კეთილდღეობა ისე მოიპოვოს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დააზიანოს გარემო და მეტად იზრუნოს საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე. მცირე საწარმოების შექმნა, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, გადამუშავებული მასალის (მინა, ქაღალდი) ხელმეორედ გამოყენება წარმოებაში ის მცირე ჩამონათვალია, რითაც ეკონომიკური განვითარება არც შეფერხდება, თუმცა არც მომავალი თაობების ინტერესებს დააზარალებს.

საერთო საკლასო სამუშაო

შემთხვევითობის პრინციპით შემდეგ კითხვებზე 3 მოსწავლე პასუხს ცემს შემდეგნაირად:

- რამ განაპირობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების დაარსების საჭიროება?

  I მოსწავლე - პასუხობს დასმულ კითხვას;
  II მოსწავლე - აღნიშნავს ეთანხმება თუ არა;
  III მოსწავლე - მოჰყავს არგუმენტი რატომ შეიძლება იყოს სწორი/არსწორი.

- რა არის გაერო და რა მისია აკისრია მას?

  I მოსწავლე - პასუხობს დასმულ კითხვას;
  II მოსწავლე - აღნიშნავს ეთანხმება თუ არა;
  III მოსწავლე - მოჰყავს არგუმენტი რატომ შეიძლება იყოს სწორი/არსწორი.

მუშაობა წყვილებში

I წყვილი ამზადებს პრეზენტაციას, შემდეგი კიტხვების მიხედვით:

- რომელია გაეროს მიერ შექმნილი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტები?

- როგორ ეხმარება გაერო საქართველოს მდგრადი განვითარებისა და დემოკრატიის მშენებლობაში?
- რა არის ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია?

II წყვილი ამზადებს პრეზენტაციას, შემდეგი კიტხვების მიხედვით:

- რამდენად მნიშვნელოვანია სამშვიდობო განათლება მდგრადი განვითარებისათვის?
- რომელია მდგრადი განვითარების ის მიზნები, რომლებსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ზოგადად სამშვიდობო პროცესებში ?
- რატომ უნდა იყოს მსოფლიოს ხალხთა მუდმივი საზრუნავი მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები?
- როგორ მიიღწევა მდგრადი განვითარების მიზნები ეროვნულ დონეზე?

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 126.
მნიშვნელოვანი საკითხი: **ადამიანის უფლებების დაცვა**

ჯგუფური სამუშაო
აქტივობა 3. გვ.127

მეგობარო, ახლა კი მზად ხარ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის - ბუკლეტის მომზადებისა და მისი პრეზენტაციისათვის.

გისურვებ წარმატებებს!

III კომპლექსური დავალება

თემა: გარემოს დაცვა
საკითხი: გაუტყეურება გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები
სამიზნე ცნება: სოციალიზაცია- უსაფრთხოების მოთხოვნილება

კომპლექსური დავალების პირობა

წარმოიდგინეთ რომ ხართ დაცული ტერიტორიების რეინჯერი, ემზადებით მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო შეხვედრის ჩასატარებლად. შეხვედრა ეხება გაუტყეურებას/დეფორესტაციას. შეხვედრისთვის უნდა მოამზადოთ სლაიდ შოუ /კომიქსი, რომელის დახმარებითაც მოსწავლე დაინახავს ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, მათ შედეგებს და სიტუაციის გამოსწორების შესაძლებლობებს.

სლაიდ შოუში/ კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინეთ

- რა იწვევს ტყის განადგურებას და როგორ აისახება მისი შედეგები ადამიანთა ცხოვრებაზე, მათ მოთხოვნილებებზე?
- ვინ და როგორ უნდა გაუფრთხილდეს ტყეს?
- სავარაუდოდ რომელ პიროვნული მახასიათებლებზე მეტყველებს ტყეზე და ზოგადად გარემოზე ზრუნვა?

ეს საინტერესოა!

პრეზენტაცია არის რაიმე საკითხისსაჯარო წარდგენა აუდიტორიის წინაშე. მისი მიზანია, გავაცნოთ საკუთარი საქმიანობა ადამიანების გარკვეულ წრეს. მასწავლებელს ხშირად უხდება პრეზენტაციის ჩატარება სხვადასხვა აუდიტორიის – მოსწავლეებისა თუ მათი მშობლების, კოლეგებისა თუ სკოლის ხელმძღვანელობის – წინაშე.

პრეზენტაციის შინაარსზე მუშაობის პროცესი შეიძლება სამ საფეხურად დავყოთ:

- საპრეზენტაციო თემის შესახებ ინფორმაციის შეკრება;
- შეკრებილი მასალიდან იმ ინფორმაციის ამოკრება და გაანალიზება, რომელიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება;
- გადარჩეული და გაანალიზებული ინფორმაციის სათანადო თანამიმდევრობით დალაგება.

რაც უფრო ხანმოკლეა პრეზენტაცია, მით უფრო რთულია მისი ეფექტურად წარმართვა, რადგან პრეზენტატორს ხშირად არ ჰყოფნის დრო, რათა სრულად განიხილოს საკითხი და აუდიტორიისგან უკუკავშირი მიიღოს.

სასურველია, პრეზენტატორმა თავისი გამოსვლა წერილობით ჩამოაყალიბოს, მაგრამ პრეზენტაციისას მხოლოდ გეგმით ან თეზისებით ისარგებლოს და ზეპირად მიმართოს აუდიტორიას. ეს მის სიტყვებს ბუნებრიობასა და დამაჯერებლობას შემატებს.

პრეზენტაცია ძირითადად ასე უნდა იყოს სტრუქტურირებული:

1. შესავალი

- მისალმება და საკუთარი თავის წარდგენა;
- საპრეზენტაციო თემისა და მიზნის გაცნობა;
- პრეზენტაციის სტრუქტურის გაცნობა;
- საპრეზენტაციო თემისადმი საკუთარი მიდგომის წარდგენა.

2. ძირითადი ნაწილი

- ძირითადი საკითხების გაშლა, გაანალიზება და საკუთარი შეხედულების არგუმენტირებული დასაბუთება.

3. დასკვნა.

- მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეჯამება;
- პრეზენტაციის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი ლიტერატურის წარდგენა;
- აუდიტორიის გამოწვევა ქმედებისა და განსჯისკენ;

კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 133-134.
მნიშვნელოვანი საკითხი: **კლიმატის ცვლილება**

მუშაობა წყვილებში

აქტივობა 2 გვ.135

ინდივიდუალური სამუშაო
აქტივობა 3 გვ.135

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 137-138.
მნიშვნელოვანი საკითხი: **გლობალური დათბობა**

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 144-145
მნიშვნელოვანი საკითხი: **რა ზიანს აყენებს ნაგავსაყრელები ეკოსისტემას?**

რესურსი: მოსწავლის სახელმძღვანელო - ,,მოქალაქეობა'' გვ. 155-157
მნიშვნელოვანი საკითხი: **გლობალური პრობლემების მოგვარება საერთაშორისო დონეზე**

საერთო-საკლასო სამუშაო
აქტივობა - ,,შემდეგი გაჩერება''

I გაჩერება:
ამაზონის ტროპიკული ტყეების გაჩეხვა
01.12.2020

წელს ამაზონის ჯუნგლებში 2008 წლის შემდეგ ტროპიკული ტყეების გაჩეხვის ყველაზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, - ამ ინფორმაციას BBC ბრაზილიის კოსმოსურ სააგენტოზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ინფორმააციით, 2019 წლის აგვისტოდან მიმდინარე წლის იმავე პერიოდამდე ბრაზილიაში 11 088 კვადრატული კილომეტრი ტროპიკული ტყის მასივები განადგურდა. გარემოსდამცველი ჯგუფები აცხადებენ, რომ ტყეების განადგურების გახშირება ბრაზილიის პრეზიდენტის, ჟაირ ბოლსონარუს პოლიტიკის შედგია.

ბოლსონარუმ არაერთხელ აღნიშნა, რომ ხის მასალის გაყიდვა ბრაზილიის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, გათავისუფლებული ტერიტორიები კი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის უნდა გამოიყენონ. ამაზონის ჯუნგლებში 3 მილიონზე მეტი სახეობის მცენარე და ცხოველი ბინადრობს. ტროპიკულ ტყეებში 1 მილიონზე მეტი აბორიგენი ცხოვრობს.

რესურსის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები ქმნიან თხზულებას, რომელშიც წარმოაჩენენ

- რა მიზეზით შეიძლება განადგურდეს ტყეები?
- შეიძლება თუ არა ადამიანმა მონაწილეობა მიიღოს ტყის განადგურებაში? როგორ?

II გაჩერება:

ამაზონის ტყის გაჩეხვის საფრთხე

ამაზონის ტყე იწვის. რა საფრთხე ემუქრება მსოფლიოს?
ბრაზილიაში, ამაზონის ტყეში ბოლო ათწლეულების ყველაზე ძლიერი ხანძარი უკვე მე-17 დღეა მძვინვარებს. მას ასეულობით მეხანძრე და სპეციალური ტექნიკა ებრძვის, თუმცა ამ დრომდე ცეცხლს ვერ აქრობენ.

BBC-ის ინფორმაციით, წლის განმავლობაში ბრაზილიაში ცეცხლის კერების მასობრივმა აფეთქებებმა რეკორდი მოხსნა. კერძოდ, ოფიციალური მონაცემებით, ქვეყანაში წლის დასაწყიდან იქ 74 000-ზე მეტი ხანძრის კერა დაფიქსირდა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 85%-ით აღემატება. ამის მიზეზად მშრალი სეზონი, ბუნებრივი მოვლენები თუ ადამიანთა გაუფრთხილებლობა სახელდება. თუმცა აქტივისტები მომხდარში ბრაზილიის პრეზიდენტს, ჟაირ ბოლსონარუს სდებენ ბრალს და აცხადებენ, რომ ის გარემოს დაცვისადმი უყურადღებობას იჩენს. ბრაზილიის პრეზიდენტი, კი ამაზონის ტყეში ხანძრის გაჩენაში არასამთავრობო ორგანიზაციებს ადანაშაულებს.

ხანძრის ეპიცენტრი ბრაზილიის ჩრდილოეთია, სადაც ამაზონის შტატი და ამაზონის ტყე მდებარეობს. იქ საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული. ხანძრის შედეგად წარმოქმნილი დაკვამლიანება შტატის ფარგლებს გასცდა. სპეციალისტების თქმით, კვამლი მომწამვლელ ნივთიერებებსაც შეიცავს.

ამაზონის ტყე, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდია, 3 მილიონამდე ცხოველისა და მცენარის სახეობას უყრის თავს. შესაბამისად, ის დედამიწის ბიომრავალფეროვნების 10%-ის თავშესაფარია. ასევე, ამაზონში მილიონამდე ადგილობრივი მცხოვრებია. გლობალური დათბობის რეგულირებისთვის ამ ტყეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო ეკოსისტემაში. მაგალითად, ამაზონის ტყე წლიურად მილიონამდე ნახშირორჟანგს შთანთქავს და ატმოსფეროში მსოფლიოში არსებული ჟანგბადის 20%-ს გამოყოფს.

ამაზონის ტროპიკული ტყის ფართობი 7 მლნ კვ კმ-ა და ცხრა ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს. უდიდესი ნაწილი კი - 60%, ბრაზილიაშია. შესაბამისად, ამაზონის ტყე პლანეტის ტროპიკული ტყეების თითქმის ნახევარს და დედამიწაზე მცხოვრები ფლორისა და ფაუნის სახეობების უდიდეს კოლექციას მოიცავს.

გლობალური დათბობის შესაჩერებლად მეცნიერები ხეების დარგვის რეკომენდაციით გამოდიან. სწორედ ამიტომ, დედამიწის ფილტვებად წოდებული ამაზონის ტყის ხანძარი საერთაშორისო შეშფოთებას იწვევს. სპეციალისტების შეფასებით, ამ ერთ-ერთი უდიდესი ტყის განადგურება ნახშიროჟანგის რაოდენობის გაზრდას გულისხმობს, რაც დედამიწის მცხოვრებთათვის სახიფათოა.

საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის თქმით, ამაზონის ტყის ხანძრები საერთაშორისო დონის კრიზისს წარმოადგენს, რომელსაც „დიდი შვიდეულის“ სამიტის დღის წესრიგში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს.

„ჩვენი სახლი იწვის. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამაზონის ტყე დედამიწის ჟანგბადის 20%-ს აწარმოებს და ის ახლა იწვის. ეს საერთაშორისო დონის კრიზისია. მოვუწოდებ „დიდი შვიდეულის“ სამიტის მონაწილეებს, პირველ რიგში ეს საგანგებო სიტუაცია განვიხილოთ“, - დაწერა მაკრონმა Twitter-ზე.

ამაზონის ტყეებში ხანძრის გამო მთელი მსოფლიო განიცდის, Twitter-ზე ჰეშთეგი #PrayforAmazonia შეიქმნა, ჰოლივუდის მსახიობმა ლეონარდი დიკაპრიომ კი ამ ფაქტს Instagram-ზე პოსტი მიუძღვნა.

რესურსის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები ქმნიან ესსეს, რომელშიც წარმოაჩენენ

- როგორ აისახება ტყის განადგურება გარემოზე? ადამიანის ცხოვრებაზე?

III გაჩერება:

ტყის გაჩეხვისის შედეგად გამოწვეული საფრთხეები

ჟურნალ Science Advances-ის თებერვლის თვეში გამოქვეყნებული ერთ-ერთი კვლევას სხვადასხვა მეცნიერები გამოეხმაურნენ. კვლევა შეეხებოდა ამაზონის ტროპიკული ტყეების გაუტყიურებას (დეფორესტაციას). ილინიოისის უნივერსიტეტის პროფესორები, კვლევის ავტორებთან, ტომას ლევეხოისთან და

კარლოს ნობრემთან ერთად აპირებენ ამაზონის ტროპიკული ტყის გადასარჩენი კამპანიის წამოწყებას. მეცნიერების თქმით, მთავარ პრობლემას საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა წარმოადგენს.

ჩვენთვის კარგად ცნობილია,რომ მსოფლიოში ტყეების რაოდენობაუკვე მრავალი წელია მცირდება. მსოფლიო სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ლიდერები ტყის შემცირების პრობლემას განსხვავებულად ებრძვიან. თუმცა სხვა მრავალი პრობლემისგან განსხვავებით ამ პრობლემასთან ბრძოლა შესაძლოა რამდენიმე წელში დაგვიანებული აღმოჩნდეს.

როგორც მეცნიერები ამბობენ, ტყის აღდგენით: ხეების ხელახალი დარგვით, გაჯანსაღებით, გამხმარი ხეების მოჭრითა და ტყის გაახალგაზრდავებით ეს პრობლემა ვერ გვარდება. ამაზონის ტროპიკული ტყის შემთხვევაშიც მსგავს პრობლემასთან გვაქვს საქმე, ტყის დეფორესტაცია გარკვეულ ზღვარს აღწევს,რომლის შემდეგაც მისი აღდგენა შეუძლებელი გახდება. „ტყის 17% უკვე განადგურებულია, თუმცა თუ ეს მაჩვენებელი 20%-ს გადასცდება ამაზონი ტყეები ვეღარ აღდგება,“ – ნათქვამია კვლევაში.

ამაზონის ტროპიკული ტყე მსოფლიოს ნებისმიერი კონტინენტისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია. როგორც მეცნიერები წერენ, ის წარმოადგენს პლანეტის ეკოსისტემის ციკლის მთავარ კომპონენტს.

როგორც უკვე აღინიშნა ამაზონი ყველას უნდა გვაღელვებდეს, თუმცა ამ ტყის გადარჩენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმ 9 ქვეყნისთვის, რომლებსაც იგი მოიცავს. მისი უდიდესი ნაწილი 60% მდებარეობს ბრაზილიაში, პერუში – 13%, კოლუმბიაში – 10%, ხოლო დანარჩენი ნაწილი წარმოდგენილია ვენესუელაში, ეკვადორში, ბოლივიაში, გაიანაში, სურინამისა და ფრანგულ გვიანაში.

„გარდა ტროპიკული ტყისა და მისი ველური ბუნების შესაძლო მოსპობისა, მოიშლება წყლის ციკლიც, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის სამხრეთ ამერიკის მოსახლეობას,”- ნათქვამია კვლევაში.

საფრთხის ქვეშაა დედამიწაზე მცხოვრები ფლორისა და ფაუნის სახეობებიც, აქ წარმოდგენილი სახეობების რიცხვი 10 მილიონია. ტყეში მეცნიერულად კლასიფიცირებულია შემდეგი სახეობები: დაახლოებით. 40 000 სახეობის მცენარე ; 2 200 სახეობის თევზი ; 1 294 სახეობის ფრინველი ; 427 სახეობის ძუძუმწოვარი; 428 სახეობის ამფიბია ;378 სახეობის ქვეწარმავალი.

ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი ნადგურდება ხანძრის შედეგად, ხოლო უდიდესი

ნაწილი გაჩეხვის გამო. ამაზონის განადგურებისა და გაჩეხვის მიზანი ძირითადად ამ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ან სამრეწველო საქმიანობის წარმართვაა. ექსპერტთა შეფასებით, ტყის გაჩეხვის შედეგად ყოველდღიურად იკარგება მცენარეთა, ცხოველთა და მწერთა 137 სახეობა, რაც მთლიანობაში წელიწადში აღწევს 50 000 სახეობას. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ამაზონის ტროპიკული ტყე შეიცავს ბევრ ისეთ მცენარეს, რომელიც კურნავს სიცოცხლისთვის საშიშ დაავადებებს.

მეცნიერების მიერ დაანონსებული ამაზონის ტყის გადასარჩენი კამპანიის შესახებ მსოფლიო მედია უახლოესი თვეების განმავლობაში შეიტყობს.

რესურსის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები ქმნიან ბუკლეტს, რომელშიც წარმოაჩენენ

- რა საფრთხეებს იწვევს ტყის განადგურება?

IV გაჩერება:

ტყის ხანძრები, მათი შედეგები და თავიდან არიდების გზები

350 მილიონი წელია, რაც ტყის ხანძრებს უდიდესი როლი უკავია დედამიწის ზედაპირისა და ატმოსფეროს ჩამოყალიბებაში. ტყის ხანძრები ისაა, რასთან ერთადაც კაცობრიობა ამდენივე წელია, თანაარსებობს. თუმცა, ბოლო წლებში საკმაოდ ბევრმა მასშტაბურმა და ტრაგიკულმა ხანძარმა დაგვარწმუნა, რომ ეს პრობლემა ნელ-ნელა სულ უფრო ინტენსიური ხდება. სწორედ ამ ხანძრების შედეგია განადგურებული სახლები, ბიზნესები, შეცვლილი კლიმატი და ჰაერის ხარისხი. ხშირად ტყის ხანძრების გავრცელებაში დიდი წვლილი სწორედ ადამიანს მიუძღვის.

2019 წელს მსოფლიო მასშტაბით დაახლოებით 1,9 მილიონი ჰექტარი ტყის საფარი განადგურდა, 2018 წელს – 3,5 მილიონი, ხოლო 2017 წელს კი – დაახლოებით, 4 მილიონი ჰექტარი.



ქვემოთ

მოცემულ გრაფიკზე კი ნათლად ჩანს, 2019 წლის აგვისტოს ჩათვლით საქართველოს რამხელა ტერიტორია (ტყის საფარი, მინდვრები) დააზიანა ხანძრებმა:



ხანძრისგან დაზიანებული ტერიტორია მხარეების მიხედვით (CENN, WRI)

გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ აღნიშნული პროცესით განსაკუთრებით დაზარალდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, კახეთის და გურიის მხარეები, რომლებზეც ხანძრებით დაზიანებული ტერიტორიის საერთო რაოდენობის 88.3%-ია. შედარებით ნაკლები ტერიტორიაა დაზიანებული ხანძრებით აჭარის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, აფხაზეთის მხარეები.

მიუხედავად ამისა, 2019 წლის ნოემბერში გახშირდა ხანძრები მაღალმთიან რეგიონებში, იხ: ქვემოთ მოცემული რუკა.



2017 წლის ხანძარი სოფელ დაბაში

და მაინც, რატომ უნდა გვადარდებდეს ტყის ხანძრები? რა შედეგებს იწვევს ეს მოვლენა?

- ტყის ხანძრები ანადგურებს სახლებს, ნაკვეთებსა და ველურ ბუნებას – ხანძრის უკონტროლო გავრცელება ძალიან სწრაფად ანადგურებს იმ სახლებს, რომლებიც ხანძართან ახლოს იმყოფებიან. ასევე, თუკი ხანძარი ფერმებსა და ნათესებს დაფარავს, შემდგომში ვეგეტაციისთვის ეს მიწები გამოუსადეგარი გახდება. საქართველოში, მთიანი რელიეფის გამო ხანძრის შედეგად ხშირია ნიადაგის ეროზია, რამაც ნახანძრალ ტერიტორიაზე, ძლიერი ნალექის მოსვლის შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიოს ფერდობის ჩამოშლა, მეწყერი და შედეგად საფრთხე შეუქმნას დასახლებულ პუნქტებს.
- ხანძრის შემდეგ, მიწის ფენები ხურდება და ყველა ის ნივთიერება, რაც მიწას ნაყოფიერს ხდის, ნადგურდება. შედეგად, ხანძრის მიდამოში ნიადაგი მთლიანად ნადგურდება.
- ტყის ხანძრების შედეგად ცოცხალი ორგანიზმები–მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები იხოცებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ დედამიწაზე ბიომრავალფეროვნება მცირდება.
- ნადგურდება ხეები და ბუჩქები, რომლებიც დედამიწაზე ჟანგბადს წარმოქმნიან. ფაქტია, რომ რაც უფრო მეტი მცენარე და ხეა ჩვენ გარშემო, მით უფრო სუფთა ჰაერს ვსუნთქავთ, შედეგად კი, ამის ფუფუნებაც მცირდება.

გარდა ამისა, ტყის საფარის შემცირებით გადარჩენილი ცხოველები საცხოვრებელსა და საკვებს კარგავენ.

- ხანძრების ჩაქრობის მიზნით, მეხანძრე-მაშველები უამრავ წყალს იყენებენ. ნიადაგში დიდი რაოდენობით წყალმა კი შეიძლება, ეროზია გამოიწვიოს. ნიადაგში ძალიან ბევრი წყალი იწვევს მის დაშლას და შედეგად, ის უსარგებლო ხდება.
- ჰაერში დიდი რაოდენობით კვამლი წარმოიქმნება, რაც ადამიანის ჯანმრთელობაზე ცუდ გავლენას ახდენს. კერძოდ, კვამლი სხვადასხვა ტოქსიკური აირისა და წყლის ორთქლის ნაწილაკებისგან შედგება, რომლებსაც წარმოქმნის ადგილიდან საკმაოდ დიდ მანძილზე შეუძლიათ გადაადგილება. ეს ნაწილაკები შეიძლება, ჩვენს ფილტვებში მოხვდეს, რაც შემდგომ სუნთქვას აფერხებს და გულს დიდ ზიანს აყენებს. გარდა ამისა, ტყის ხანძრების დროს დიდი რაოდენობით მხუთავი აირი – ნახშირბადის მონოქსიდი (CO) წარმოიქმნება, რაც ასევე ახდენს ჯანმრთელობაზე ცუდ გავლენას.
- გარდა ამისა, დაკვამლიანება ცვლის ჰაერის ხარისხსაც. წვა ჟანგბადის ხარჯზე მიმდინარეობს, რაც იმას გულისხმობს, რომ ჰაერში მცირდება ჟანგბადი და ვრცელდება კანცეროგენული და მუტაგენური თვისებების მქონე ჭვარტლი. თავის მხრივ, ეს იწვევს ატმოსფეროს გამჭვირვალობის შემცირებას, ამგვარად დაბინძურებული ჰაერი კი, საბოლოო ჯამში,
- მცენარეების ზრდა-განვითარებას აფერხებს.

რა/ვინ იწვევს ტყის ხანძრებს?

ტყის ხანძრების წარმოქმნა და გავრცელება საკმაოდ ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად: კლიმატური პირობები, ქარის სიძლიერე, ჰაერის ტენიანობა, ლანდშაფტი და სხვ.

ყველაზე ხშირად, ხანძრების გამომწვევი მიზეზები ადამიანები არიან. საკმაოდ ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ხშირია მცენარეული ნარჩენების წვის ტრადიცია, რასაც ფერმერები მოსავლის აღების შემდეგ მიმართავენ ხოლმე. ამ ხერხით ისინი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შემდგომი დამუშავებისთვის მარტივად ასუფთავებენ. თუმცა, ხშირად სწორედ აქედან წარმოიშვება ხოლმე მასშტაბური ხანძრები.

მაგალითად, 1997 წელს, ინდონეზიაში ტყეების გაწმენდის მიზნით განზრახული ხანძარი გადაიზარდა ისტორიის ერთ-ერთ უდიდეს ხანძარში. დაიღუპა ასობით ადამიანი, დაიწვა მილიონობით ჰექტარი, განადგურდნენ რისკის ქვეშ მყოფი სახეობები, როგორიცაა ორანგუტანები. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში თვეების განმავლობაში იდგა კვამლი, რაც ასევე აზიანებდა მოსახლეობის ჯანმრთელობას.

ასევე ხშირია ადამიანების მიერ უპასუხისმგებლო ქმედებით – სიგარეტის ნამწვის ან სულაც საახალწლო ასაფეთქებლების ბუნებაში დაგდებით გამოწვეული ხანძრები, რასაც არანაკლებ გამანადგურებელი შედეგი მოჰყვება ხოლმე.

თუმცა, ტყის ხანძრებში ყოველთვის ადამიანს ვერ დავადანაშაულებთ – ხშირად მათი წარმომქმნელი თავად დედა-ბუნებაა. მაგალითად, მსოფლიო მასშტაბით წარმოქმნილი ტყის ხანძრების 8% მეხის დაცემის შედეგია. ხანძრებს წარმოქმნის ასევე ვულკანის ამოფრქვევაც – ვულკანის ყელიდან გადმოდენილი ლავა ანადგურებს გარშემო არსებულ ბუნებას.

როგორ ვებრძოლოთ ტყის ხანძრებს?

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია, ვაკონტროლოთ ხანძრის გამომწვევი ბუნებისმიერი მიზეზები, შეგვიძლია, ვაკონტროლოთ ჩვენივე ქმედებები, რომლებითაც დღესდღეობით მას დიდ ზიანს ვაყენებთ. საჭიროა, გამოვიჩინოთ მეტი პასუხისმგებლობა და ყოველთვის გავაკონტროლოთ, პიკნიკიდან წამოსვლისას ცეცხლი ნამდვილად ჩავაქრეთ თუ არა, ასევე, აღარ დავაგდოთ ბუნებაში სიგარეტის ნამწვი და ყველა ის ნივთი, რამაც შესაძლოა, შემდგომში ხანძარი გააჩინოს. ასევე, ნუ დავაზიანებთ გარემოს მხოლოდ იმის გამო, რომ სავარგულები გავასუფთავოთ. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ხშირად წამიერ სარგებელს საკმაოდ გრძელვადიანი ზიანი მოჰყვება ხოლმე.

რესურსის გაცნობის შემდეგ, მოსწავლეები ქმნიან პრეზენტაციას, რომელშიც წარმოაჩენენ ტყის ხანძრებს, მათ შედეგებსა და თავიდან არიდების გზებს.

V გაჩერება:
ადამიანის მოთხოვნილებები

პიროვნული განვითარება პროცესია, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე მიმდინარეობს. იგი ადამიანს აძლევს საშუალებას შეაფასოს საკუთარი უნარ-ჩვევები, დაისახოს მიზნები და ჰქონდეს სწრაფვა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენისაკენ.

რატომ არის პიროვნული განვითარება მნიშვნელოვანი? პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებით ბევრი მოსაზრება არსებობს, ერთ-ერთი მათგანია აბრაამ მასლოუს თვითგამორკვევის პროცესი.

თვითგამორკვევა

აბრაამ მასლოუს პირამიდის თანახმად, ყველა ინდივიდს აქვს საკუთარი, პიროვნებაში "ჩაშენებული" მოთხოვნილებათა და საჭიროებათა ჩამონათვალი, რომელიც თავს სწორედ თვითგამორკვევის პროცესში იჩენს. საჭიროებათა არეალი, რომელსაც მასლოუს პირამიდა ფარავს საფეხურებად არის წარმოდგენილი, რადგან

სანამ პირველი მათგანი არ დაკმაყოფილდება, ადამიანი მეორე ეტაპზე ვერ გადადის. მათი მნიშვნელობა მოცემულია არა ცხოვრების კონკრეტული ერთი ეტაპისთვის, არამედ მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობისთვის. მიუხედავად ამისა, ადამიანის მისწრაფება და მოტივაცია პირამიდაზე წარმოდგენილი საჭიროებების მიმართ დროდადრო შესაძლოა შეიცვალოს გარემო პირობებიდან გამომდინარე.

მასლოუს პირამიდა 5 ძირითადი საფეხურისგან შედგება:

თუმცა, არსებობს პირამიდის უფრო ვრცელი ვერსია, რომელიც სასურველია დეტალურად განვიხილოთ.

იერარქიის პირველ საფეხურს ისეთი ძირითადი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები წარმოადგენს, როგორებიცაა : საჭმელი, სასმელი,ძილი, სექსი, პირადი ჰიგიენა და სხვა - ანუ, სიცოცხლისთვის აუცილებელი საჭიროებები.

ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შემდეგ მოდის უსაფრთხოებისა და დაცულობის აუცილებლობა, როგორც ფიზიკური და ემოციური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

პირამიდის მესამე საფეხური ელემენტარული მოთხოვნილებებიდან კმაყოფილების განცდიდან, სიყვარულსა და კუთვნილების შეგრძნებებზე გადადის.

მეოთხე დონე თვითშეფასებასა და მოტივაციას მიემართება. ეს საფეხური ყველაზე მეტად შეეფერება "თვითმოტივაციის" იდეას.

პირამიდის მეხუთე საფეხურზე გაგების საჭიროებას ვხვდებით, რაც საკუთარ თავში ისეთ აბსტრაქტულ ცნებებს გულისხმობს, როგორებიცაა : ცნობისმოყვარეობა, მიზეზის მაძიებლობა და საკითხის ღრმად შეცნობის სურვილი.

მეექვსე საფეხური ესთეტიკას უკავშირდება. ადამიანს სჭირდება სილამაზე, სიმეტრია, თანმიმდევრობა ვიზუალურ ასპექტში.

მასლოუს იერარქიული პირამიდის ბოლო საფეხურია თვითგამორკვევის

საფეხური, რომელიც საკუთარ თავში მოიაზრებს ადამიანის შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლინებასა და რეალიზებას.

მასლოუს თქმით, თითოეულ ადამიანს სჭირდება თავი დამოუკიდებელ და კომპეტენტურ ინდივიდად იგრძნოს. გარდა ამისა, იგი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ პიროვნებას აქვს ზრდა-განვითარების ლიმიტი. ერთი სიტყვით, ცნობილი ფსიქოლოგის აზრით, თვითგამორკვევისთვის აუცილებელია საკუთარი გრძნობების შეცნობა, სავსე ცხოვრებით ცხოვრება და მაქსიმალური კონცენტრაცია შინაგან ხმაზე. ამავდროულად, მას მიაჩნდა რომ იერარქია არ არის ფიქსირებული და კონკრეტული პიროვნების გამოსკვლევად მხოლოდ მისთვის საჭირო მიდგომა იყო დასაშვები.

პიროვნული განვითარებისთვის საჭირო ნაბიჯები

1. პიროვნული ხედვის ჩამოყალიბება

პიროვნული ხედვის ჩამოყალიბება, ანუ კონკრეტული მიზნის დასახვა, თუ სად გინდა იყო რამდენიმე თვის ან წლის შემდეგ და რატომ - პიროვნული განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილია.

2. პიროვნული განვითარების დაგეგმვა

მას შემდეგ, რაც გადაწყვეტ, თუ სად გინდა იყო, შეგიძლია დაიწყო იმაზე ფიქრი, როგორ უნდა მიაღწიო დასახულ მიზანს. პიროვნული განვითარების გეგმის ჩამოწერა აუცილებელი არ არის, თუმცა ეს უკანასკნელი დაგეგმვის პროცესს ბევრად უფრო რეალისტურს გახდის. გეგმა შეიძლება მოიცავდეს მიზნებს და ქვემიზნებს ანუ იმ მოკლე, რეალისტურ ნაბიჯებს, რაც მთავარი მიზნის მისაღწევად გჭირდება. კარგია თუ დასახულ ამოცანებს დროის ჭრილშიც განიხილავ, აი, მაგალითად - რა დრო გჭირდება კონკრეტული ქვემიზნის მისაღწევად?

3. პიროვნული განვითარების პროგრესის აღრიცხვა

აღრიცხვის წარმოება შესანიშნავი იდეაა, რათა უკეთ დაინახოთ საკუთარი პროგრესი. საკვანძო საკითხების ჩამოწერითა და კონტროლით, ადამიანთა უმეტესობა უფრო მარტივად ახდენს კონცენტრაციას ყველაზე მნიშვნელოვანზე, შესაძლებლობის გამოჩენისთანავე იწყებს მოქმედებას და წარმატებასაც, შესაბამისად, უფრო მალე აღწევს. აღრიცხული წინსვლა მოტივაციისთვის საუკეთესო საშუალებაა. ის გაძლევთ შემართებას, იაროთ წინ უკეთესი უნარ-

ჩვევების განსავითარებლად.

მოტივაცია და თვითმოტივაცია

რა არის მოტივაცია ?

მოტივაცია არის ის, რაც გვიბიძგებს მიზნის მიღწევისკენ, გვაგრძნობინებს თავს უკეთესად და საერთო ჯამში, გვიუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.

მოტივაციის ჩამოყალიბება და საჭიროებების მიგნება შესაძლოა შეუცვლელი დახმარება აღმოჩნდეს ცხოვრების ნებისმიერი ეტაპისათვის.
ხანდახან ხდება ისეც, რომ თქვენი მოტივაცია თქვენივე ცნობიერებისგან დამალულია, ხანდახან იგი საათობრივად იცვლება, ხანდახან დღიდან დღემდე, ასე მიმდინარეობს მთელი ცხოვრების მანძილზე. აქედან გამომდინარე, თქვენი საჭიროებები, მოთხოვნილებები და მიზნები იცვლება და ვითარდება.

ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ორი სახის მოტივაცია : სულიერი და მატერიალური.

სულერი მოტივაციის საფუძველი სიყვარულია, ანუ ჩვენ გვიყვარს, გვინდა და სიამოვნებას გვანიჭებს ესა თუ ის საქმე, რომელსაც ვემსახურებით.

მატერიალური მოტივაციაა, როდესაც ჩვენ ვასრულებთ რაიმე ტიპის საქმეს ჯილდოს, კარგი ნიშნის, გავლენის ან თანხის მოლოდინით. ამ შემთხვევაში ჩვენი მამოძრავებელი მოტივაცია საჭიროებაა და არა სურვილი.

ინდივიდებს ერთმანეთისგან განსხვავებული მოტივაციის საგნები, პერიოდები და საჭიროებები აქვთ. შესაძლოა ის, რაც ჩვენთვის სულიერი მოტივაციაა, სხვისთვის მატერიალური აღმოჩნდეს და პირიქით, გამომდინარე აქედან, ყველაფერი ინდივიდუალურია, თუმცა ადამიანთა უმეტესობას მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ ორი ზემოხსენებული მოტივაციის კომბინაცია ამოძრავებს.

თვითმოტივაციისათვის საჭირო უნარ-ჩვევები:
მაღალი, თუმცა რეალისტური მიზნების დასახვა.
კარგად მოზომილი დონის რისკზე წასვლა.
მრჩეველის მოძიება, რომელიც პრობლემურ საკითხებზე მიგვითითებს.
მუდმივად ახალი შესაძლებლობების ძიება.
უნარი, ბოლომდე მივყვეთ წამოწყებულ საქმეს, თანმდევი სირთულეების მიუხედავად.
საბოლოოდ, იმისათვის, რომ წინამდებარე შრომა წყალში არ ჩაგვეყაროს და არასოდეს დავკარგოთ მოტივაცია, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი რჩევები :

1. ცოდნის მუდმივი მიღება - ინფორმაციისა და სიახლეების მუდმივი მიღება ხელს უწყობს გონებას, არასოდეს მოდუნდეს და შეინარჩუნოს ცნობისმოყვარეობა.

2. ენთუზიაზმით სავსე ადამიანების გარემოცვაში ყოფნა - ეს საუკეთესო საშუალებაა, გაინაწილოთ მათი შემართება და საქმეს არასოდეს შეხედოთ ნეგატიურად.

3. შეინარჩუნეთ პოზიტიური განწყობა წარუმატებლობის შემთხვევაშიც , შეხედეთ წარუმატებლობას, როგორც გამოწვევას, რომლის დაძლევა და გადალახვა, კიდევ უფრო ძლიერს გაგხდით - იზრუნეთ სიტუაციიდან გამოსავლის მოფიქრებაზე, არ დანებდეთ გარემოპირობებს.

4. გაანალიზეთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები- აღიარეთ და მიიღეთ საკუთარი სისუსტეები, არ ხართ ვალდებული იდეალური იყოთ! ასეთი მიდგომა დაგეხმარებათ სისუსტეც კი თქვენს მეგობრად გაიხადოთ და სამომავლოდ რესურსად გადააქციოთ. რაც შეეხება ძლიერ მხარეებს - დაეყრდენით მას, როგორც მთავარ პიროვნულ რესურსს.

5. გააკეთეთ! - კარგად აწონ-დაწონეთ რისკები, არ იჩქაროთ, მშვიდად და აუღელვებლად მიჰყევით დასახულ მიზანს.

6. დაეხმარეთ და მიიღეთ დახმარება - არასოდეს მოგერიდოთ დახმარების თხოვნა , მითია, რომ თითქოს სუსტები ითხოვენ დახმარებას, გარკვეული პიროვნული ძალა სჭირდება იმის აღიარებას, რომ რაღაც არ იცი, რაღაც არ შეგიძლია, დახმარების თხოვნა ადამიანის წინ გადადგმული, გაბედული ნაბიჯია და არასოდეს უთხრათ სხვებს უარი ხელის გაწვდაზე, თუ ამის რესურსი გაქვთ. თვითრეალიზებული ადამიანების ყურება თქვენში ანალოგიურის მიღწევის სურვილს აღძრავს.

რესურსის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები შექმნიან კომიქსს, რომელშიც წარმოაჩენენ:

- რა მოთხოვნილებები აქვს ადამიანს?
- რომელ მოთხოვნილებებს ვერ დაიკმაყოფილებს ადამიანი, თუ გააგრძელებს ტყის არაგონივრულ მოხმარებას? რატომ?

ტყის ხანძრის გაჩენის მიზეზები

ზაფხულში ტემპერატურის მატებასთან ერთად იზრდება ტყეში ხანძრების გაჩენის რისკი. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკით, წლის მანძილზე საქართველოში საშუალოდ 40-60 ხანძარი ჩნდება. ტყეში ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი კი ადამიანთა დაუდევრობა. არასწორ ადგილას დანთებული კოცონი ან ნახევრად ჩამქრალის დატოვება ტყეში შეიძლება ხანძრის გამომწვევი მიზეზი გახდეს. სააგენტო მოსახლეობას აფრთხილებს, რომ ტყეში გადაადგილებისას უსაფრთხოების წესები დაიცვან.

რატომ ჩნდება ტყეში ხანძარი და რა წვლილი მიუძღვის ამაში ადამიანს? – „ბათუმელების“ კითხვებს ეროვნული სატყეო სააგენტოს დირექტორის მოადგილემ ნათია იორდანიშვილმა უპასუხა.

„სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ძალიან ბევრია დაუდევრობით წარმოშობილი ხანძრა და ვერ უშველის ვერანაირი პრევენცია თუ თითოეული ჩვენგანის ცნობიერებამდე არ დავიდა, რომ ჩვენს გაუცნობიერებელ მოქმედებას შეიძლება ასეთი კატასტროფა მოჰყვეს. ხანძრის წარმოშობის მიზეზი მხოლოდ კოცონის უყურადღებოდ დატოვება არ არის ან ისეთ ადგილას კოცონის დანთება, სადაც არ შეიძლება. ის ნარჩენი, რომელსაც ვტოვებთ ტყეში, შემდგომ ხდება ხანძრის წყარო.

პლასტმასის ბოთლები, შუშის ნამტვრევები, სველი ხელსახოცები, რომლებიც თითოეული პიკნიკის მერე გვრჩება თუ შეგნებულად ვტოვებთ ბუნებაში, მაღალი ტემპერატურის პირობებში ადვილად აალებადი მასალა ხდება. ხანძრის რისკი უფრო მეტად ასეთ ადგილებში იზრდება,“- ამბობს ნათია იორდანიშვილი.

იორდანიშვილის თქმით, მნიშვნელოვანია მოსახლეობამ გააცნობიეროს, რომ ტყეში ხანძრის დანთებისას წინასწარ უნდა მოამზადო ადგილი. ეროვნულ პარკებში და დაცულ ტერიტორიებზე კი ცეცხლი მხოლოდ იქ უნდა დაინთოს, სადაც სპეციალურადაა მოწყობილი ადგილი.

რაც შეეხება ტყის ფონდის ტერიტორიას, ცეცხლის დანთება აკრძალულია წიწვოვან ტყეში, ხეების ქვეშ, იქ სადაც ხეები მჭიდროდ დგანან ერთმანეთთან. გარდა ამისა, ცეცხლის დანთებისას აუცილებელია შეარჩიოთ ღია ფართობი, გაწმინდოთ ეს ტერიტორია ბალახისგან და ადვილად აალებადი მასალებისაგან და შემდეგ დაანთოთ ცეცხლი. ადგილის დატოვებისას კი კარგად უნდა დარწმუნდეთ, რომ კოცონი ჩაქრა.

„ხშირად მწყემსები და მოსახლეობა წვავს მინდორს იმ მოტივით, რომ იქ უკეთესი, უფრო ნოყიერი ბალახი წამოვა. ასეთი შემთხვევები ხშირია მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში, განსაკუთრებით დედოფლისწყაროში, სადაც ქარსაფარი ზოლებიც კი განადგურდა 2016 წელს“, – ამბობს ნათია იორდანიშვილი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნათა დარღვევა, რამაც გამოიწვია ტყეში ხანძრის გაჩენა ან მისი გავრცელება გარკვეულ ფართობზე, აგრეთვე, ტყის მოსპობა ან დაზიანება ცეცხლის წაკიდების ან ცეცხლისადმი დაუდევრად მოპყრობის შედეგად, ასიდან ორას ლარამდე ფულად ჯარიმას ითვალისწინებს.

გარდა ადმინისტრაციული ჯარიმისა, პირს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც. ტყის, ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლთან ან მომეტებული საფრთხის წყაროსთან გაუფრთხილებელი მოპყრობით, ან მისი დაბინძურება მავნე ნივთიერებით ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

ტყის ან ნარგავის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საშიში საშუალებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ოთხიდან რვა წლამდე.

ინდივიდუალური სამუშაო

რესურსის გაცნობის შემდეგ შექმნიანი სლოგანი, რომლითაც საზოგადოებას გააფრთხილებ ხანძრის სავარაუდო გაჩენის მიზეზების შესახებ.

ვიდეო-რესურსი - ტყის აღდგენის მნიშვნელობა

საერთო-საკლასო სამუშაო

სადისკუსიო კითხვები:

- ვის შეუძლია ტყის დაცვა?
- რატომ უნდა დავიცვათ/აღვადგინოთ ტყე?
- როგორ უნდა დავიცვათ/აღვადგინოთ ტყე?
- ვისთან შეგვიძლია ვითანამშრომლოთ ტყის აღსაღდგენად?

ფილმები: ,,ერთი კაცის გაშენებული ტყე" და ,,კაცი რომელიც ხეებს რგავდა"

რესურსების ნახვის შემდეგ დაწერე თხზულება, რომელსიც წარმოაჩენ

- რატომ ახდენს გავლენას ადამიანის მხრიდან გამოხატული ზრუნვა მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე?
- როგორ შეუძლია ერთ ადამიანს შეცვალოს გარემო მის გარშემო?
- როგორ პიროვნებად ყალიბდება ადამიანი, რომელიც ზრუნავს

გარემოზე/ტყეზე?

მეგობარო, ახლა კი მზად ხარ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის - ბუკლეტის მომზადებისა და მისი პრეზენტაციისათვის.

გისურვებ წარმატებებს!